თბილისის ბოტანიკურ ბაღში ბუნებრივი ფლორის ერთლებნიანი გეოფიტების ინტროდუქციის შედეგებმა გვიჩვენა, რომ მათი ნორმალური ზრდა-განვითარებისათვის ძირითადია ახალ პირობებში მცენარეთა განსაკუთრებული მოვლა სიცოცხლის პირველ წლებში და დარგვის წინ ნიადაგის მომზადება (აუცილებელია ნიადაგის გადაბარვა 35-40 სმ სიღრმეზე, ფოთლის ნემომპალის, ქვიშისა და ორგანული სასუქების შეტანა); ამ შემთხვევაში გეოფიტების ფესვთა სისტემა მდებარეობს კარგი დრენაჟის, საკვები ნივთიერებებით მდიდარ ზედა ნიადაგობრივ ჰორიზონტზე, რაც ხელს უწყობს მცენარეთა ზრდა-განვითარებას.

თუ გავითვალისწინებთ მცენარეთა რეაქციას, შეიძლება განვსაზღვროთ ინტროდუცენტების ეკოლოგიური პლასტიკურობა ელაფური ფაქტორების მიმართ, ხოლო სახეობისათვის შესაბამისი პირობების შექმნა:

დაჩრდილვა, მორწყვა, განოყიერება და სხვ. საშუალებას გვაძლევს გამოვაკლინოთ მათი ბიოეკოლოგიური პოტენციალი.

ვიწრო ეკოლოგიური არეალის მცენარეთა ინტროდუქციისას (ობლიგატური ჰალოფიტები, გიპსოფიტები, ქვიშა-ლორღის მცენარეები) წარმოებდა ნიადაგის სპეციალური მომზადება ბუნებრივი პირობების მსგავსად, რაზეც მიგვანიშნებს ზოგი მკვლევარის მონაცემები, მაგ., გიპსოფიტების ზრდა-განვითარებისათვის ნიადაგში თაბაშირის არსებობა ყველაზე მთავარი პირობაა და ა.შ.

დაკვირვებები გვიჩვენებს, რომ ზოგიერთი გეოფიტისათვის ნიადაგის ასეთი მომზადება აუცილებელია (*Eremurus spectabilis*, *Bellevalia speciosa*, *B. montana*, *Iris iberica*), სხვები კი ამის გარეშეც კარგად ვითარდებიან (*Asphodeline lutea*, *Convallaria transcaucasica*, *Dioscorea caucasica*, *Tamus communis*, *Polygonatum multiflorum*, *P. glaberrimum*, *P. orientale*, *Muscari szovitsianum*, *Scilla siberica* და სხვ.).

აქედან გამომდინარე, არსებობს ედაფური ფაქტორების მიმართ მცენარეთა ობლიგატური და ფაკულტატური დამოკიდებულება, რაც ბუნებრივ პირობებში ყოველთვის არ არის შესაძენი.

თბილისის სემიარიდული კლიმატის პირობებში ერთლებნიანი გეოფიტების წყლის მიმართ რეაქციის შესწავლა, ასევე მეტად მნიშვნელოვანია. ასე მაგ., მხოლოდ რწყვის შემთხვევაში შესაძლებელია იმ სახეობების გამოვლენა, რომლებიც რწყვის სხვადასხვა რეჟიმს საჭიროებს. მაგალითად, მთელი მშრალი პერიოდის განმავლობაში უნდა მოირწყას: *Allium paradoxum*, *A. ursinum*, *A. victorialis*, *A. albidum*, *Convallaria transcaucasica*, *Dioscorea caucasica*, *Iris cartholiniae*, *I. sibirica*, *Lilium szovitsianum*, *L. candidum*, *L. causicum*, *Galanthus kemulariae*, *G. woronowii*; *Hemerocallis fulva*, *Polygonatum glaberrimum*, *P. orientale*, *P. multiflorum*, *Paris incompleta*, *Tamus communis*, *Ornithogalum magnum*.

წყლის დეფიციტს ეგუება: *Asparagus officinalis*, *A. verticillatus*, *Asphodeline lutea*, *Bellevalia speciosa*, *Colchicum speciosum*, *C. umbrosum*, *Ornithogalum ponticum*, *Galanthus causicus*, *Gladiolus causicus*, *Iris pumila*, *Crocus speciosus*, *Eremurus spectabilis* და სხვ. წარმატებით მიმდინარეობს მორწყვის გარეშე შემდეგი სახეობების ზრდა-განვითარება: *Merendera trygina*, *Iris iberica*, *I. caucasica*, *Allium rotundum*, *A. atroviolaceum*, *Ornithogalum tempscianum*, *Gladiolus italicus*.

შესწავლილი მცენარეების გარკვეული ნაწილი ბუნებაში იზრდება როგორც ტყეებში, ასევე ტყის მდელოებზე, ტყის პირებზე; ჩვენს პირობებში, ინტროდუქციურული მცენარეებიდან ხშირ შემთხვევაში უხვად ვითარდება ამ დაჯგუფებებში მოხარდი მცენარეები: *Colchicum speciosum*, *C. umbrosum*, *Convallaria transcaucasica*, *Dioscorea caucasica*, *Ornithogalum magnum*, *Crocus speciosus*, *Galanthus kemulariae*, *G. woronowii*, *Polygonatum glaberrimum*, *P. orientale*, *P. multiflorum*, *Paris incompleta*, *Tamus communis* და სხვ. კულტურის პირობებში ტყის მცენარეებს მხოლოდ უხვი რწყვის პირობებში აქვს კარგად განვითარებული მიწისქვეშა და მიწისზედა ნაწილი, რეგულარულად ყვავილობენ და თესლმსხმოიარობენ, ზოგიერთი კი თვითნათესაც იძლევა: *Convallaria transcaucasica*, *Galanthus woronowii*, *Polygonatum glaberrimum*, *P. multiflorum*; ნატურალიზაციის მაჩვენებლებით გამოირჩევა: *Allium paradoxum*, *A. atroviolaceum*, *Galanthus causicus*, *Gagea chlorantha*, *Merendera trygina*, *Scilla siberica*.

აღსანიშნავია, რომ ცხელ ზაფხულში კინდება და ავადდება ტყის ის სახეობები, რომლებიც ნახევრადჩრდილის პირობებში იყო დარგული: *Polygonatum glaberrimum*, *P. multiflorum*, *P. orientale*, *Tamus communis* და შეუფერხდათ მორწყვა.

ადაპტაციის დადებითი შედეგების მაჩვენებლები აღინიშნება სტეპის მცენარეულობაზე. აქ იგულისხმება ზომიერი ზონის მცენარეულობის ტიპი, რომლებშიც ბატონობს ქსეროფიტები, მაგრამ მათი სახეობრივი შეზღუდვა განსხვავებულია. ამ ჯგუფის მცენარეებიდან სამკურნალო მცენარეთა საკოლექციო ნაკვეთზე ინტროდუქციურულია: *Iris iberica*, *I. pumila*, *I. caucasica*, *I. reticulata*, *Merendera trygina*, *Muscari causicum*, *M. leucostomum*, *M. szovitsianum*, *Tulipa biebersteiniana*, *T. eichleri*, *Fritillaria caucasica*, *Gagea lutea*, *Ornithogalum ponticum* და სხვ.

მთის სარტყელში, მშრალი ქვიანი ფერდობების სტეპის მცენარეულობა მდიდრდება ე.წ. მთის ქსეროფიტებით, რომელთაგანაც აღსანიშნავია: *Asphodeline lutea*, *Bellevalia speciosa*, *Eremurus spectabilis*, *Ornithogalum tempscianum*. აღნიშნული ჯგუფის მცენარეები ტიპური ჰელიოფიტებია, ღია სივრცის მცენარეები, რამაც განსაზღვრა მათი წარმატებული ინტროდუქცია ღია ადგილებში. სრული განათების პირობებში, ზომიერი რწყვის დროს ისინი ნორმალურად ვითარდებიან და ბუნებრივად მოხარდი მცენარეებთან შედარებით უკეთესი ზრდა-განვითარებით ხასიათდებიან, ხანგრძლივად და უხვად ყვავილობენ და ნაყოფმსხმოიარობენ, ზოგიერთების განახლება კი თვითნათესითაც ხდება: *სპოდელინე ლუტეა*, *რემურუს სპეცტაბილის*.

გამოვლინდა, რომ შემოტანილი სახეობების ნაწილს ახალ გარემოში გამოუმუშავდა ახალი თავისებურებები. კერძოდ, ზომიერი რწყვისა და მაღალი აგროტექნიკის პირობებში რიგმა სახეობებმა- *Allium paradoxum*, *A. atroviolaceum*, *Asparagus officinalis*, *A. verticillatus*, *Convallaria transcaucasica*, *Galanthus kemulariae*, *G. woronowii*, *G. caucasicus*, *Iris pumila*, *I. iberica*, *I. carthaliniae*, *I. reticulata*, *Iris caucasica*, *Dioscorea caucasica*, *Asphodeline lutea*, *Ornithogalum magnum*, *Colchicum speciosum*, *C. umbrosum*, *Scilla siberica*, *Fritillaria caucasica*, *Hemerocallis fulva*, *Lilium candidum*, გამოამუშავა ვეგეტატიურად გამრავლების კარგი უნარი. აღნიშნული მცენარეები ვეგეტატიურად ბუნებაშიც მრავლდებიან, მაგრამ ნაკლები ინტენსივობით. ამას ვერ ვიტყვით *Bellevialia speciosa*, *B. montana*, *Paris incompleta* და სხვა მცენარეებზე, რომლებიც ნაკლებ გამოხატული ვეგეტატიური გამრავლების უნარით ხასიათდებიან.

რაც შეეხება ტყის ზედა და სუბალპური სარტყლიდან ჩამოტანილ მთელ რიგ მცენარეებზე: *Allium victorialis*, *Fritillaria latifolia*, *F. lagodechiana*, *Lilium monadelphum*, *L. kesselringianum*, *Paris incompleta*, *Scilla bifolia*, *S. rosenii*, შესაბამისი აგროტექნიკური ღონისძიებების ჩატარებისა და განსაკუთრებული მოვლის მიუხედავად, რამდენიმე წელიწადში კულტურიდან ამოვარდნენ, რაც კლიმატურ ფაქტორებთან ერთად მცენარეთა ბიოლოგიური თავისებურებებითაა განპირობებული.

გამოკვლევების შედეგად დადგინდა, რომ გეოფიტების უმრავლესი სახეობისათვის საშემოდგომო თესვა ოპტიმალურია. თესლი ითესება ზედაპირულად 0,5-1 სმ სიღრმეზე, იშვიათად 2 სმ-ზე (სიმსხოზე დამოკიდებულებით). თესლი ღვიდება 5-7 თვეში. პირველი აღმონაცენები შეინიშნება მარტის შუა რიცხვებში და ეს პროცესი ივნისამდე გრძელდება.

ეფემერიოიდული გეოფიტების აღმონაცენი (ზრდასრული მცენარეების მსგავსად) ვეგეტაციას ამთავრებს მაისის ბოლოს და გადადის ე.წ. მოსვენების მდგომარეობაში, ხოლო მიწისქვეშა ორგანოებში ინტენსიურად მიმდინარეობს ფორმალარმოქმნის პროცესები. რაც შეეხება ზაფხულში მოყვავილე გეოფიტების აღმონაცენს, ისინი ვეგეტაციას ამთავრებენ ივლის-აგვისტოში.

თესლის მაღალი აღმოცენების უნარით გამოირჩევა: *Asparagus officinalis*, *Allium paradoxum*, *A. atroviolaceum*, *Asphodeline lutea*, *Dioscorea caucasica*, *Galanthus caucasicus*, *Gagea chlorantha*, *Crocus speciosus*, *Muscari szovitsianum*, *Scilla siberica*.

ირკვევა, რომ შესწავლილი მცენარეების ყვავილობის დაწყების ვადები ბუნებასა და კულტურაში უახლოვდება ერთმანეთს (თუ არ ჩავთვლით ტყის ზედა სარტყლიდან ჩამოტანილებს, რომელთა ყვავილობის ვადები განსხვავებულია 15-20 დღით), მაგრამ კულტურის პირობებში მათი ყვავილობა რამდენადმე გასანგრძლივებელია, რაც შეინიშნება შემდეგ მცენარეებზე: *Asphodeline lutea*, *Convallaria transcaucasica*, *Colchicum speciosum*, *Eremurus spectabilis*, *Polygonatum glaberrimum*, *P. multiflorum*, *P. orientale*. ამ ფენოლოგიური ფაზის ამპლიტუდა როგორც ბუნებრივ პირობებში, ისე კულტურაში მუდმივი არ არის, ვინაიდან, ამინდის შესაბამისად შეიძლება გადაიხაროს ორივე მიმართულებით.

კულტურის პირობებში საინტერესოა მეორადი ყვავილობა. ამ მოვლენას ზოგი უკავშირებს შემოდგომით მცენარეებზე გარემო ფაქტორების-სითბოს, ტენისა და მზის ინსოლაციის ზეგავლენას, სხვები-სახეობის ბიოლოგიურ თავისებურებებს.

დაკვირვებამ დაგვანახა, რომ რიგ მცენარეებში მეორადი ყვავილობა შეიმჩნევა თბილი, მზიანი შემოდგომის დროს, როცა მას წინ უსწრებს წვიმიანი პერიოდი. ასეთ შემთხვევაში ზამთარს ისინი ხშირად საყვავილე კოკრებით ან გაშლილი ყვავილებით ვეგებებიან და ზოგჯერ ასეთ ფაზაშივე იზამთრებენ. განმეორებითი ყვავილობა აღინიშნება შემდეგ სახეობათა ცალკეულ ინდივიდებზე: *Allium atroviolaceum*, *Convallaria transcaucasica*, *Iris pumila*, *I. iberica*, *Muscari szovitsianum*, *M. leucostomum*, *Scilla siberica*.

დადგინდა აგრეთვე, რომ სხვა ფაქტორებთან ერთად ყვავილობის ინტენსივობას განსაზღვრავს სავეგეტაციო პერიოდის ჰიდროთერმული რეჟიმის თავისებურება, გვალვიანი და ტენიანი პერიოდის ხანგრძლივობის ურთიერთმონაცვლეობა, აგრეთვე თვით მცენარის ბიოლოგიური თავისებურებები.

დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ ბუნებრივად მოზარდი ერთლებნიანი გეოფიტების კულტივირება შესაძლებელია და პერსპექტიულია აღმოსავლეთ საქართველოს სემიარიდული პირობებისათვის. ბევრი სახეობა აგროტექნიკური ღონისძიებების ჩატარების შემდეგ ამჟღავნებს ახალ სასარგებლო თვისებებს, რაც მნიშვნელოვანია მათი კულტურაში ფართოდ დანერგვისათვის [რ. ბიძინაშვილი, 1-7].

საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის სამკურნალო მცენარეების საკოლექციო ნაკვეთზე ინტროდუცირებული ზოგიერთი სამკურნალო გეოფიტი



ნაკვეთის საერთო ხედი



ვორონოვის თეთრყვავილა



კავკასიური შროშანა



ყვითელი ასფოდელი



შრეში



სვინტრი



კავკასიური ზამბახი



გერმანული ზამბახი



ქონდარა ზამბახი



ბიბერშტეინის ტიტა



შოვიცის ყაზახა



უცუნა



ქართლის ზამბახი



თეთრი შროშანი



ყვითელი შტერნბერგია



კავკასიური თეთრყვავილა



ცისთვალა



კემულარიას თეთრყვავილა



ენბელა



მინდვრის ზამბახი



ქართული ზამბახი



კავკასიური ღიოსკორეა




მშენიერი ზაფრანა



ყვითელი ჩიტისთავა



კავკასიური თეთრყვავილა



სვინტრი



კავკასიური ღვინა



ძალის სატაცური



ჩხროსებრი სატაცური



პონტური ძალნიორა

1. biZinaSvili r. erTlebniani samkurnalo kriftofitების დაცვა და კულტივების პერსპექტივი. Tbilisi botanikuri baRis Sromebi, 94. Tbilisi. 2004.
2. biZinaSvili r. Tbilisi midamoebis floris samkurnalo geofitebi. „basiani“, Tbilisi. 2009. 164 gv.
3. biZinaSvili r. SroSanas kltivების პერსპექტივი. „basiani“. Tbilisi, 2011. 40 gv.
4. biZinaSvili r. gazafxulis maxaroblebi – TeTryvavilebi. „universal“, Tbilisi. 2012. 166 gv.
5. biZinaSvili r. mSvenieri SreSi - *Eremurus spectabilis* Bieb. „universal“, Tbilisi. 2012. 56 gv.
6. biZinaSvili r. kavkasiuri dioskoreas (*Dioscorea caucasica* Lipsky) kultura saqarTvelos erovnul botanikur baRSi. saq. erovnuli botanikuri baRis Sromebi, 101, 2015. gv. 125- 137.
7. biZinaSvili r. efemeroiduli geofitebis biomorfologiuri Tavisebureბი. saqarTvelos soflis meurneobis mecnierebaTa akademiis moambe #2 (38), Tbilisi, 2017. gv. 18-28.

Introduced monocotyledonous medicinal geophytes in the National Botanical Garden of Georgia

Roza Bidzinashvili - Academic Doctor of Biology

Key words: geophyte, endemic, rare, endangered, introduction

Abstract

The perennial herbaceous plants - geophytes from the specific composition of Georgian flora row Liliales plants have been attracting humans' attention since ancient times. They are distinguished with their various valuable peculiarities (medicinal, essential oils, aromatic, edible, dyeing, ornamental, etc.), high level of endemism, extraordinary morph structures and abundance of forms. Many of these species belong to rare plants and are included in the Red Book. The plants of this group have been the objects of our research since the 80s of the last century. As a result of the targeted field work carried out in different regions of Georgia, we have collected about 70 species of plants and introduced them in the experimental plot of the National Botanical Garden (Tbilisi) of Georgia.

Over the years, as a result of biological observations carried out in natural and cultural conditions, the range of growth and development of some species, morphogenesis, ecological characteristics, reproduction methods, and adaptability in culture conditions have been studied. Agrotechnical measures have been developed. Some species are recommended to be introduced in the conditions of the semiarid climate of East Georgia.

ხალცედონის ლიხნისის /*Lychnis chalcedonica* L./ სასიცოცხლო ციკლი კულტურაში

ეთერ გოვიტაშვილი—ბიოლოგიის აკადემიური დოქტორი,
მურაიძე მარინე—სოფლის მეურნეობის აკადემიური დოქტორი,
სოფიკო ჩიტაშვილი—საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის მკვლევარი,
ქეთევან თავართქილაძე—ბიოლოგიის აკადემიური დოქტორი

საკვანძო სიტყვები: ლიხნისი ინტროდუქცია, ზრდა-განვითარება, სასიცოცხლო ციკლი, ასაკობრივი ჯგუფები, გამრავლება, დეკორატიულობა

რეზიუმე

შრომში მოცემულია ხალცედონის ლიხნისის /*Lychnis chalcedonica* L./ ინტროდუქციული კვლევის შედეგები საქართველოს ეროვნულ ბოტანიკურ ბაღში. შესწავლილია მისი სასიცოცხლო ციკლი სიცოცხლის პირველ და შემდგომ წლებში. განვითარების პროცესში გამოყოფილია ასაკობრივი ჯგუფები და მათი ხანგრძლივობა. ზრდა-განვითარების თავისებურებების, ფენოლოგიური დაკვირვებების, რეპროდუქციის უნარის, დეკორატიული მახასიათებლების, გამრავლება-მოვლა-მოყვანის ტექნოლოგიების შესწავლის შედეგად გამოვლენილია მისი მაღალი ინტროდუქციული პოტენციალი, რის საფუძველზეც შეიძლება რეკომენდაცია მიეცეს აღმოსავლეთ საქართველოს სემიარიდული კლიმატის პირობებში ლანდშაფტის ფიტოდიზაინში გამოსაყენებლად.

შესავალი.

ცნობილია, რომ მსოფლიო დეკორატიულ მებაღეობაში გამოყენებული ბალახოვანი მცენარეებიდან ღია გრუნტში 2000-ზე მეტი ველური მცენარეა კულტივირებული. მიუხედავად ამისა, გამოყენებითი ბოტანიკის სხვა დარგებთან შედარებით ველური მცენარეული რესურსის კვლევა და მათი კულტურაში დანერგვა არასაკმარისად მიმდინარეობს, ბევრი პერსპექტიული სახეობა ჯერ კიდევ ხელუხლებელია და მოითხოვს შემდგომ შესწავლას. ჩვენი მუშაობა მიმართულია ისეთი სახეობების გამოსაყვანად, რომლებსაც გააჩნიათ რეპროდუქციის კარგი უნარი, ხასიათებიან მაღალი რეზისტენტობით ადგილობრივი პირობების მიმართ და მაღალი დეკორატიული თვისებებით გამოირჩევიან ფიტოდიზაინში გამოყენების თვალსაზრისით. ასეთ მცენარეთა რიცხვშია გვარი ლიხნისის (*Lychnis* L.) ზოგიერთი სახეობა, რომლებიც ინტროდუქცირებულია საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის ყვავილოვან ბალახოვან მცენარეთა საცდელ-საკოლექციო ნაკვეთზე.

გვარი ლიხნისი (*Lychnis* L.) მიხაკისებრთა (*Caryophyllaceae* Juss.) ოჯახის ერთ-ერთი პატარა გვარია, რომლის 50 სახეობა ჩრდილო ნახევარსფეროს ზომიერ ზონაშია გავრცელებული. სახელწოდება წარმოსდგება ბერძნული სიტყვისაგან “*Lychnos*” – ლამპარი (ნათურა), რამდენადაც წარსულში *Lychnis coronaria*-ს ფოთლებს იყენებდნენ როგორც პატრუქს, ან სხვა ვერსიით კაშკაშა ყვავილების გამო უწოდებდნენ. ჯერ კიდევ ანტიკურ ხანაში ძველი ბერძენი ფილოსოფოსის და ბუნების მკვლევარის თეოფრასტეს (371-287 ჩვენს ერამდე) შრომებში მოხსენიებულია ეს მცენარე [1].

გვარის ზოგიერთი სახეობა წარმოშობილია მცირე აზიიდან, ხალცედონიიდან; ზოგის სამშობლო ხმელთაშუაზღვა და სამხრეთ ევროპაა. ევროპაში და საფრანგეთში ეს მცენარე შეტანილ იქნა XVI საუკუნეში ჯვაროსნული ლაშქრობის დროს. მკვეთრი წითელი ხავერდისნაირი ყვავილების გამო გერმანიაში მას უწოდებენ “მგზნებარე სიყვარულს”, რუსეთში “ზორკას” გამჭრიახი, თვალმახვილი, ფხიზელი, მისი ფესვების თვისებების –ააქაფოს წყალი საპონინების შემცველობის გამო უწოდებენ “ტატარსკოე მილო”-ს (). ხალხში დიდხანს არსებობდა ტრადიცია-ახალგაზრდა კაცს დაერგო ლიხნისი საპატარძლოს სახლთან თავისი სიყვარულის გამოსახატავად. ამ გვარში შემავალი სახეობები ხასიათებიან არა მარტო მაღალი დეკორატიულობით, არამედ სამკურნალო და სხვა სასარგებლო თვისებებითაც. სხვა ქვეყნების დეკორატიულ მებაღეობაში გამოყენებულია 15 –მდე სახეობა.

გვარის არცერთი სახეობა საქართველოს მდიდარი ველური ფლორის ნაწილს არ წარმოადგენს, ხოლო ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე 8 სახეობა იზრდება [1], უმეტესად ციმბირში და შორეულ აღმოსავლეთში [1, 2, 3].

მიუხედავად მათი მცირე რაოდენობისა და მაღალდეკორატიულობისა, ყვავილოვან მცენარეთა ფიტოდიზაინში გვარი ლიხნისის წარმომადგენლები თითქმის არ არის შესწავლილი და გამოყენებული. მეზღვრების პრაქტიკაში მეტ-ნაკლებად გვხვდება ერთი სახეობა – ხალცედონის ლიხნისი (*Lychnis chalcedonica*) ისიც ბოტანიკური ბაღების საცდელ საკოლექციო ნაკვეთებზე კულტივირებული; ასევე ნაკლებადაა შრომები აღნიშნული გვარის შესახებ, თუმცა მოკლე ცნობები ზოგიერთ სახეობაზე (*L. chalcedonica*, *L. coronaria* (L.) Desr., *L. haageana* Lem., *L. alpina* L.) მცენარის აღწერის სახით მხოლოდ ჩამონათვალშია მოცემული [4, 2, 5, 6].

კვლევის მიზანი, ობიექტი და მეთოდიკა

კვლევის მიზანს წარმოადგენდა სხვადასხვა გეოგრაფიული წარმოშობის 3 სახეობის ლიხნისის ინტროდუქციისას მორფობიოლოგიური თავისებურებების შესწავლა კულტურის პირობებში, რაც გაამდიდრებს საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის დეკორატიულ-ყვავილოვან მცენარეთა კოლექციას, გამოყენებული იქნება ბაღის ფიტოდიზაინში და რეკომენდაცია მიეცემა შემდგომში ქ. თბილისის ყვავილოვანი გაფორმების ასორტიმენტში შესატანად. აღნიშნულ კვლევასთან დაკავშირებით მცენარეთა მორფოლოგიური და რითმოლოგიური თავისებურებების შესასწავლად ვსარგებლობდით ი. სერებრიაკოვის [7,8] ი. ბეიდემანის [9], ი. იგნატიევას [10] მეთოდური მითითებებით; სასიცოცხლო ციკლის შესასწავლად ონტოგენეზში სიცოცხლის პირველ და შემდგომ სავეგეტაციო წლებში ასაკობრივი ჯგუფების გამოსაყოფად გამოყენებული იყო ტ. რაბოტნოვის [14] და ი. იგნატიევას [10,12] შრომები. მცენარეთა გასამრავლებლად ვიყენებდით მიღებულ თესვებს და ამ თესვებიდან გამოყვანილ მცენარეთა რეპროდუქციას.

ინტროდუქციის შედეგები და დეკორატიულობა განისაზღვრა ვ. ბაკანოვას [13] მიხედვით. ყურადღება ექცეოდა არახელსაყრელი კლიმატური პირობებისადმი და მავნებელ-დაავადებებისადმი გამძლეობას, რეგულარულ ყვავილობას და ნაყოფმსხმოიარობას, თვითგანახლების უნარს, დადგინდა ფიტოდიზაინში გამოყენების პერსპექტიულობა.

კვლევის შედეგები

საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის ყვავილოვან მცენარეთა საცდელ-საკოლექციო ნაკვეთზე თავმოყრილი და გამრავლებულია გვარ *Lychnis* – ის სხვადასხვა გეოგრაფიული წარმოშობის 7 სახეობა (*L. chalcedonica*, *L. coronaria* (L.) Desr., *L. viscaria* L., *L. flos-cuculi* L., *L. yunnanensis* Baker., *L. haageana* Lem., *L. alpina* L.) აქედან 3 სახეობა - *L. chalcedonica*, *L. coronaria* (L.) Desr., *L. viscaria* L. შესწავლილია დეტალურად.

აღნიშნული სახეობები შეკრებილი იქნა მსოფლიოს სხვადასხვა ბოტანიკური ბაღებთან თესვების გაცვლის გზით.

წინამდებარე სტატიაში ვიძლევიტ მხოლოდ ერთი სახეობის - *Lychnis chalcedonica* L.-ის – ხალცედონის ლიხნისის დეტალურად შესწავლის შედეგებს.

ზრდა-განვითარების თავისებურებები სიცოცხლის პირველ და შემდგომ წლებში ასაკობრივი ჯგუფების დახასიათებით

Lychnis chalcedonica. აღმოსავლეთ ევროპულ-აზიური ტიპის არეალის მცენარეა; საერთო გავრცელება: მონღოლეთი, ყოფილი სსრკ-ს ევროპული ნაწილი: ზემო დნეპრისპირეთი, შავი-ზღვისპირეთი, ქვემო დონი; დასავლეთ ციმბირი: ირტიში-ალტაის მხარე; აღმოსავლეთ ციმბირი; შუა აზია: არაღიის მიდამოები, იმიერბაიკალი, ტიან-შანი [1].

იზრდება ნესტიანი ტყის მდელოებზე, ტყის პირებში, ბუჩქნარებში და ღრანტებში. მრავალწლოვანი, ფესურიანი, ბალახოვანი, მეზოფიტი მცენარეა.

საწყისი მასალა თესვის სახით მიღებულია საფრანგეთიდან (ნანტის და პარიზის ბოტანიკური ბაღებიდან), ასევე გამოყენებულ იქნა ადგილობრივი, ბოტანიკური ბაღის 2012

წლის რეპროდუქცია. კულტურაში ცნობილია 1561 წლიდან. წარმოადგენს ზოგიერთი ქვეყნის წითელი ნუსხის ობიექტს. [20].

მცენარეთა განვითარების რითმის თავისებურებების შესწავლა კულტურის პირობებში საშუალებას გვაძლევს გამოვალინოთ ბიომორფოლოგიური და რითმოლოგიური ცვალებადობის დიაპაზონი და ამის საფუძველზე დავადგინოთ ამა თუ იმ სასარგებლო მცენარის კულტურაში შემოტანის შესაძლებლობა. ამისთვის კი აუცილებელია სახეობების ინდივიდუალური განვითარების შესწავლა დაწყებული თესლის გაღივებიდან ზრდასრული მცენარის ჩათვლით, რადგან საყოველთაოდ ცნობილია განვითარების რითმის ცოდნის მნიშვნელობა მცენარეთა გამოყენებისათვის სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგებში – დკორატიულ მებაღეობაში, მედიცინაში, სოფლის მეურნეობაში და სხვ. [14, 15, 16, 17, 18 და სხვ.].

ბ. რაბოტნოვის [11] კლასიფიკაციის საფუძველზე განვითარების სხვადასხვა ეტაპზე მცენარეთა შესწავლამ საშუალება მოგვცა ხალცედონის ლიხნისის სასიცოცხლო ციკლი დაგვეყო ასაკობრივ ჯგუფებად და ონტოგენეზში გამოგვეყო სხვადასხვა ასაკობრივი მდგომარეობა, რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავდებიან გარკვეული ხარისხობრივი და რაოდენობრივი ნიშნებით: I. ვირგინილური პერიოდი–აღმოცენებიდან ვეგეტატიური ზრდასრული მცენარის ჩათვლით. ამ პერიოდში გამოვყავით ოთხი ასაკობრივი მდგომარეობა–აღმონაცენი, იუვენილური, იმატურული ანუ ახალგაზრდა ვეგეტატიური და ზრდასრული ვეგეტატიური მცენარე. II. გენერაციული პერიოდი–ამ დროს ხდება რეპროდუქციული ყლორტების ფორმირება; აქ შეიძლება გამოვყოთ ორი ასაკობრივი ჯგუფი: ახალგაზრდა გენერაციული და ზრდასრული გენერაციული მცენარეები.

ჩვენს მიერ შესწავლილი ლიხნისის სახეობა წარმოადგენს მრავალწლოვან პოლიკარპულ მცენარეს: მისი მონოკარპული ღეროები ყვავილობის და ნაყოფმსხმოიარობის შემდეგ ხმება და ქვევით მიწის ზედაპირთან ახლოს რჩება ღეროს ბაზალური ნაწილი, რომელზედაც ვითარდება განახლების კვირტები. თითოეული მონოკარპული ღერო თანმიმდევრობით გაივლის შემდეგ ფაზებს: კვირტი, დამოკლებული ვეგეტატიური ყლორტი და მოყვავილე რეპროდუქციული ღერო. ეს მონოკარპული ღეროები თავის განვითარების ციკლს გაივლის ერთ, ორ ან რამდენიმე წელში.

ი. სერებრიაკოვის [7] მიხედვით, რომელიც მონოკარპული ღეროების ხუთ ტიპს გამოყოფს, ხალცედონის ლიხნისისთვის დამახასიათებელია მონოციკლური და დიციკლური ღეროები პირველ წელს მცენარეები იმყოფებიან როზეტის მდგომარეობაში, რომლის ფოთლები დამოკლებულ ყლორტებზე ერთმანეთში ზის და მათ იდლიებში განვითარებულია კვირტები. სიცოცხლის პირველ წელსვე ზოგიერთ ინდივიდზე მთავარი ყლორტის ზრდის კონუსში არსებული კვირტიდან ვითარდება მონოციკლური რეპროდუქციული ყლორტი. ყვავილობის და ნაყოფმსხმოიარობის შემდეგ ძირში რჩება რეპროდუქციული ღეროების ნაწილი ანუ მცენარის განახლების ზონა მრავალი წყვილი ფოთლით და განახლების კვირტებით, რომლებიც მომავალი წლის რეპროდუქციული ღეროების საწყისს წარმოადგენენ.

სიცოცხლის პირველი წელი I. ვირგინილური პერიოდი

აღმონაცენი. დახურულ გრუნტში გაზაფხულზე დათესილი თესლი /თებერვლის ბოლო-მარტის დასაწყისი/ აღმონაცენს იძლევა მე-6 მე-8, ხოლო მასობრივს მე-10 მე-12 დღეს. გაღივების ტიპი მიწისზედა, ლებნები ბრტყელი, ლანცეტისმაგვარი, მოკლე ყუნწით, ღია მწვანე 0,5 სმ სიგრძის, 0,3 სმ სიგანის; ჰიპოკოტილი 0,3 სმ სიგრძის, უფრო ღია ფერის ვიდრე ლებნები; ფესვი მოკლე, თეთრი ფერის, უამრავი ბუსუსით.

აღმოცენებიდან ერთი თვის შემდეგ /აპრილის დასაწყისი/, მცენარის სიმაღლე 2-2,5 სმ-ია. გვაქვს მცენარეები, რომლებსაც მხოლოდ პირველი წყვილი ფოთლები აქვთ განვითარებული, არის ასევე მეორე წყვილი ფოთლის ჩანასახით და არის ისეთებიც, რომლებსაც უკვე აქვთ მე-2 ნამდვილი წყვილი ფოთლები.

აპრილის ბოლოდან ლებნები თანდათან იწყებს გაყვითლებას და მაისის პირველ დეკადაში ხმება. მცენარის სიმაღლე 3-6 სმ-ია 4-5 წყვილი ფოთლით, აქედან ქვედა 2-3 წყვილი ფოთლი მუხლთშორისების გარეშეა. ყლორტები და ფოთლების კიდები შებუსუსულია უხეში ხაოთი. ამ დროისათვის იწყება მთავარი ფესვის შესამჩნევი გამსხვილება, რომელიც სიგრძით 3-5 სმ-ია, მრავალი მეორე რიგის ფესვებით. მაისის მეორე დეკადის დასაწყისში მთავრდება

აღმონაცენის ფაზა, რომლის ხანგრძლივობა 70-80 დღეს შეადგენს და მცენარეები გადადიან ახალ ასაკობრივ ჯგუფში – იუვენულური (ცხ. 1).

იუვენულური მცენარეები. ამ ასაკობრივი ჯგუფის ერთეული მცენარეებისათვის დამახასიათებელია მთავარ ყლორტზე ფესვის ყელიდან პირველი მუხლთშორისის დაგრძელება 1,5 სმ-მდე და მუქი მეწამული ფერი, ხოლო ყლორტის ზედა ნაწილი ისევ მწვანე ფერისაა. განვითარების ამ ეტაპზე მთავრდება იუვენულური პერიოდი რომელიც გრძელდება 20-30 დღე.

იმატურული მცენარეები (ახალგაზრდა ვეგეტატიური მდგომარეობა). მაისის ბოლოს მცენარეთა უმეტესი ნაწილის დამოკლებულ ყლორტებზე დაგრძელებას იწყებს მუხლთშორისები 1-1,5 სმ-მდე, რომლებიც უხეში ხაოთია შებუსული. ფართოვდება ფოთლის ფირფიტები 1-1,3 სმ დიამეტრამდე, სიგრძით 4-5 სმ. მცენარე სიმალეში 6-10 სმ-ია, 5-10 წყვილი ფოთლით და მხოლოდ ძირითადად ერთი დაგრძელებული ყლორტით. ფესვთა სისტემის სიგრძე 6 სმ-ს აღწევს. ამ ასაკობრივ მდგომარეობაში მცენარეთა ყოფნის ხანგრძლივობა 30-35 დღეა.

ზრდასრული ვეგეტატიური მცენარე. ამ ასაკობრივ ეტაპზე ხალცედონის ლიხნისისათვის დამახასიათებელია ვეგეტატიური განვითარების სიძლიერე, რაც გამოიხატება მთავარ ყლორტზე ახალი წყვილი ფოთლების და ფესვის ყელიდან ახალი, ეგრეთწოდებული მე-2 რიგის ყლორტების განვითარებაში; სიცოცხლის პირველ წელს ამ ყლორტების სიმალე ვერ აღწევს მთავარ ყლორტის სიმალეს, რომელიც 8-12 სმ-მდეა 6-8 წყვილი ფოთლით, ქვედა 4-5 წყვილ ფოთლებს შორის დაგრძელებული მუხლთშორისებით, შებუსულია უხეში ხაოთი როგორც ფოთოლი, ასევე ღერო; ფესვთა სისტემა კარგად განვითარებულია, მთავარი ფესვის ბაზალური ნაწილი გასქელებულია რომელზედაც მრავალი /10-20/ მე-2 რიგის ფესვია განვითარებული. ამ ეტაპზე შესაძლებელია აღინიშნოს ფესვთა სისტემის განვითარების ორი ტიპი; პირველი მკვეთრად გამოხატული მთავარი ფესვი სიგრძით 6-8 სმ, რომლის გასქელებულ ბაზალურ ნაწილზე შედარებით მცირე რაოდენობით არის დამატებითი ფესვები და მეორე – გასქელებულ ჰიპოკოტილზე და მთავარი ფესვის ბაზალურ ნაწილზე მრავალი მეორე რიგის ფესვია განვითარებული, რომელიც სიგრძით მთავარ ფესვს უტოლდება და მთლიანად ნიადაგის ზედაპირთან ახლოს ჰორიზონტალურადაა განლაგებული. მცენარეთა ზრდასრული ვეგეტატიური მდგომარეობა გრძელდება 30-35 დღე (ცხრ. 1).

II. გენერაციული პერიოდი

ახალგაზრდა გენერაციული მცენარე. სიცოცხლის პირველ წელსვე, ივნისის მეორე დეკადიდან ხალცედონის ლიხნისის უმეტეს ინდივიდების მთავარ ყლორტზე, რომელიც თითქმის უკვე საყვავილე ღეროდაა წარმოდგენილი, მცირე ზომის თავაკი ვითარდება, რომელშიც 3-დან 6 კოკრამდეა ერთად. კოკრობის ფაზა გრძელდება ივლისის პირველი დეკადის ბოლომდე. მცენარეთა სიმალე 9-დან 30 სმ-მდეა. თითოეულ ღეროზე 11-12 წყვილი ფოთლია, ფოთლის ფირფიტის სიგრძე 3-4 სმ-ია, დიამეტრი 1,5-2 სმ; ღერო და ფოთლები ძლიერ ხაოიანი; ახალგაზრდა გენერაციულ მცენარეზე 1-3 საყვავილე ღეროა. ყვავილობა იწყება ივლისის მეორე დეკადის შუა რიცხვებიდან; მცირე ზომის თავაკში მოთავსებული კოკრები იშლება მორიგეობით. ერთი ყვავილის ყვავილობის ხანგრძლივობა 5-6 დღეა, ერთი მცენარის ერთ თვეზე მეტი. ყვავილი ცეცხლისფერ-წითელია, დიამეტრით 2,5-3 სმ. მასობრივი ყვავილობა აღინიშნება აგვისტოს პირველი დეკადის ბოლოს. აქვს თაფლოვანი ყვავილი [21]; თესლმსხმოიარობს უხვად. ნაყოფი 1 სმ-მდე დიამეტრის კვერცხისებრი ხუთსაგდულიანი კოლოფია. თესლი ღობიოს ფორმისაა, მოწითალო-ყავისფერი. თესლი მწიფდება თანდათან აგვისტოს ბოლოდან. აღმოცენების უნარს ინაჩუნებს 3-4 წელი.

Lychnis chalconica-ს ბიოლოგიური ნიშნების ცვალებადობა ასაკობრივ მდგომარეობასთან დაკავშირებით

ცხრილი. 1

ბიომეტრიული მანკვებლები	ვირგინილური პერიოდი				გენერაციული პერიოდი	
	აღმონაცენი	იუვენილური	იმატური	ზრდასრული ვეგეტატიური	ახლგაზრდა გენერაციული	ზრდასრული გენერაციული
1	2	3	4	5	6	7
ფოთლების რაოდენობა მთავარ დამოკლებულ ყლორტზე	4-5	5-7	5-10	-	-	-
მთავარი ყლორტის ფოთლის სიგრძე სმ	2-4	4-5	4-5	-	-	-
ფოთლის სიგანე სმ	0,6-0,8	1-1,3	1-1,3	-	-	-
მე-2 და შემდგომი რიგის ყლორტების რაოდენობა მცენარეზე	-	-	-	2-0	-	-
მთავარი ფესვის სიგრძე სმ	3-5	4-5	5-6	6-8	10-12	25-30
მთავარი ფესვის სისქე სმ	-	-	0,2-0,3	0,5-0,6	0,8-1	-
II და III რიგის ფესვების რაოდენობა	4-5	10-15	10-15	10-20	მრავალი	-
პიპოკოტილის სიგრძე სმ	0,3-0,8	1-1-2	-	-	-	-
რეპროდუქციული ყლორტების რაოდენობა	-	-	-	-	3-6	20-25
ფოთლების რიცხვი რეპროდუქციულ ყლორტებზე	-	-	-	-	11-12	20-24
ფოთლების სიგრძე რეპროდუქციულ ყლორტებზე სმ	-	-	-	-	3-4	8-9
ფოთლების სიგანე რეპროდუქციულ ყლორტებზე	-	-	-	-	1,5-2	3-5
მცენარის სიმაღლე სმ	3-6	4-7	6-10	8-12	9-30	40-45
მცენარის დიამეტრიც სმ	-	-	-	-	10-12	15-25
ასაკობრივი ჯგუფის ხანგრძლივობა დღეებში	70-80	20-30	30-35	30-35	1-2 წელი	5-6 წელი.

თესლის მომწიფების შემდეგ საყვავილე ღეროები ისევე მწვანე ფერისაა. ამ დროისათვის მცენარეებზე ერთდროულად აღინიშნება მოყვავილე რეპროდუქციული ღეროების არსებობა, იშვიათად ამ ღეროებზე მეორე რიგის ყლორტების განვითარება, მწიფე კო-ლოფები, ახალგანვითარებული კოკრები და შემოდგომის გენერაციის დამოკლებული ყლორტები.

ოქტომბრის ბოლოს ხალცედონის ღიხნისი ძირიდან ასე ხასიათდება: მიწის ზევით მცენარე როზეტული ტიპისაა, მჭიდროდ შეკრული 3-4 დამოკლებული ვეგეტატიური ყლორტით, რომელზედაც 6-7 ფოთლი ერთმანეთში მჭიდროდ ზის. გვიან შემოდგომამდე ასეთ როზეტულ ყლორტებზე გრძელდება ახალი ფოთლების განვითარება; ასევე მწვანე მდგომარეობაშია შერჩენილი რეპროდუქციული ღეროები, რომლის ბაზალურ ნაწილზე, მიწის ზედაპირთან ახლოს შეინიშნება განახლების კვირტები. ფესვთა სისტემა თითქმის უცვლელია. ამრიგად, სიცოცხლის პირველ წელს ხალცედონის ღიხნისის უმეტესი ინდივიდები ხუთი თვის განმავლობაში გადიან განვითარების ყველა ასაკობრივ ეტაპს აღმოცენებიდან ახალგაზრდა რეპროდუქციული მცენარის ჩათვლით.

სიცოცხლის მეორე და შემდგომი წლები

სიცოცხლის მეორე წელს, ადრე გაზაფხულზე /მარტის დასაწყისი/ მცენარის ბაზალურ ნაწილზე განვითარებას იწყებს გვიან შემოდგომაზე ჩასახული განახლების კვირტები, ასევე გასული წლის დამოკლებულ ყლორტებზე იწყება ფოთლების ახალი გენერაცია. მცენარეთა ინტენსიური ზრდა აღინიშნება მაისის მეორე დეკადის დასაწყისიდან ივნისის დასაწყისამდე, როცა საყვავილე ღეროები თავის მაქსიმალურ სიმაღლეს 45-85 სმ-დან 1 მ-მდე აღწევს, ხოლო მცენარეთა დიამეტრი 15-დან 25 სმ-ს. შეიძლება ითქვას, რომ დეფინიტიური მცენარის მონოკარპულ ღეროებს იშვიათად ან თითქმის არ ახასიათებს დატოტიანება. თითოეულ მცენარეზე 5-6 რეპროდუქციული ღეროა განვითარებული 20-24 წყვილი ფოთლით, აქედან ქვედა 5-6 წყვილი გამხმარია და მათ შორის მუხლთშორისებიც მოკლეა, ხოლო ზედა ფოთლებს შორის მუხლთშორისები ქვევიდან ზევით 1-სმ-დან 8 სმ-ს აღწევს. ფოთლის პარამეტრები ასეთ ღეროებზე შემდეგია – სიგრძე 8-9 სმ, დიამეტრი 3,5 სმ. მისი ზომები ღეროს წვეროსკენ თანდათან მცირდება და სულ წვერში ფოთლის სიგრძე 4,5 სმ, დიამეტრი 1,5 სმ, ფოთლის ფირფიტის ქვედა მხარეს შუა ძარღვი და რეპროდუქციული ღეროები ძლიერ ხაოიანია. თითოეული ღერო ბოლოვდება ყვავილედით, რომელიც წარმოადგენს თავაკს დიამეტრით 9-10 სმ. თავაკში კოკრების რაოდენობა 25-დან 55-მდეა. კოკრების განვითარება თავაკში თანდათან ხდება, ზოგი რომ გადაყვავილებულია, ზოგიც მაშინ იწყებს განვითარებას; შესაბამისად ყვავილობაცა და თესლების მომწიფებაც თანდათანობითა. ყვავილობა იწყება ივნისის მეორე დეკადის დასაწყისიდან, მასობრივი ყვავილობა აღინიშნება ივნის-ივლისში; თითოეული თავაკის ყვავილობა თვეზე მეტია, ხოლო თითოეული ბუჩქის ორი და მეტი თვე გრძელდება. თესლმსხმოიარობს უხვად.

ყვავილობის პერიოდში და შემდეგ ფესვის ყელთან ვითარდება ახალი კვირტები, რაოდენობით 6-10 და მეტი, რომელიც მომავალი წლის რეპროდუქციული ყლორტების ბაზისს წარმოადგენენ.

ზრდასრული გენერაციული მცენარეები. ამ ასაკობრივ პერიოდში მცენარეთა ბაზალურ ნაწილზე არსებული მძინარე კვირტებიდან ახალ-ახალი დამოკლებული ყლორტების განვითარების საფუძველზე ხდება მათი ვეგეტატიური გაძლიერება. ეს ყლო-რტები მომავალი წლის რეპროდუქციულ ყლორტებს წარმოადგენენ; შედეგად ძლიერდება არა მარტო ვეგეტატიური, არამედ გენერაციული მდგომარეობაც და ზოგიერთ 4-5 წლიან მცენარეზე რეპროდუქციული ღეროების რაოდენობა 20-25 და მეტსაც აღწევს (სურ.1). აღინიშნება ფესვთა სისტემის ძლიერი დაგრძელება 30 სმ-მდე და გასქელება, ნიადაგის ზედაპირზე ჰორიზონტალური მიმართულებით მცენარე უფრო და უფრო მეტ ადგილს იკავებს.



სურ. 1 *Lychnis chalcidonica* ყვავილობისას

საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის პირობებში ხალცედონის ლიხნისი ზრდასრულ გენერაციულ მდგომარეობაში იმყოფება 5-6 ან მეტი წელი, რომლის შემდეგაც დაფიქსირებულია მცენარეთა სენილური /სიბერი/ მდგომარეობა–რეპროდუქციული ღეროების და განახლების კვირტების რაოდენობის შემცირება, ბაზალური ნაწილის ნაწილობრივი ხმობა, ან უფრო სუსტი ინდივიდების მთლიანი გახმობა.

ხალცელონის ღიხნის აქვს საბალო ფორმა (*F. albiflora*) თეთრი, 2 სმ დიამეტრის ყვავილებით. ცნობილია ასევე ფორმა ვარდისფერი მარტივი და ბუთხუზა ყვავილებით შუაში წითელი ლაქებით.

გამრავლება და აგროტექნიკა. მრავლდება თესლით და ვეგეტატიურად – კალმით და ბუჩქის დაყოფით. ცდებმა გვიჩვენა, რომ ის არ გამოირჩევა განსაკუთრებული მომთხოვნელობით ნიადაგობრივი პირობების მიმართ. მხოლოდ აუცილებელია ყურადღება მივაქციოთ მის ეკოლოგიურ თავისებურებებს. დროულად ვაწარმოოთ თესვა, ჩითილების გადარგვა გრუნტში და ჩავატაროთ საჭირო აგროტექნიკური სამუშაოები.

ითესება დახურულ /ორანჟერეაში, ყუთებში, თებერვალში/ და ღია გრუნტში /აპრილიში/ 1-1.5 სმ სიღრმეზე. დახურულ გრუნტში აღმოცენდება 8-10, ღია გრუნტში 12-20 დღეში. თესლი ამოდის სწრაფად და ერთდროულად, რაც საშუალებას იძლევა მივიღოთ დიდი რაოდენობით ერთგვაროვანი სარგავი მასალა. ორი-სამი წყვილი ფოთლის ფაზაში საჭიროა ჯგუთვა, ღია გრუნტში კი გამოსშირვა 20-25 სმ დაშორებით მცენარეებს შორის. მცენარეთა ნაწილი ყვავის იმავე წელს.

კალმით გამრავლებისას აპრილ-მაისში იჭრება 20 სმ სიგრძის ახალგაზრდა ყლორტები კოკრის გარეშე. კალმდება ყუთებში კორდის, ფოთლის მიწის, გადამწვარი ნაკელის და მდინარის ქვიშის ნაზავში (2:1:1:1). სექტემბრის ბოლოს კალმები უკვე დაფესვიანებულია და შეიძლება მათი გადარგვა მუდმივ ადგილზე. ყვავილობს მეორე წელს.

ბუჩქის დაყოფით გამრავლება უმჯობესია ადრე გაზაფხულზე ვეგეტაციის დაწყებისთანავე. სადედე მცენარეებზე ყოველწლიურად ვითარდება ფესვის დამატებითი კვირტებიდან მიწისზედა ყლორტები; როცა ბუჩქი საკმაოდ მჭიდრო ხდება რეკომენდებულია დაიყოს რამდენიმე ნაწილად. ამისათვის მცენარე უნდა ამოვიღოთ და ჩამოვაცილოთ გვერდით ნაზარდები საკუთარი ფესვებით; ირგვება დაყოფისთანავე მსუბუქ, კარგად დრენირებულ ნიადაგში. დარგვის წინ საჭიროა ნიადაგის გადაბარვა და სასურველია მისი განოყიერება. 1 მ²-ზე შეიძლება შევიტანოთ კომპოსტი 10 კგ, სუპერფოსფატი 50 გრ, კალიმაგნეზია 40 გრ ხანგრძლივი გვალვის დროს.

ადვილად მოსავლელი მცენარეა. გამძლეა მავნებე-დაავადებების მიმართ, მაგრამ თუ მუდმივად დავარდევთ მათი მოვლის აგროტექნიკას, ის შეიძლება დაავადდეს ფესვის სიღამპლით, ჟანგითი და ფოთლის ლაქიანობით. ამის თავიდან ასაცილებლად აუცილებელია დავიცვათ მორწყვის რეჟიმი და ნარგაობა გამოფხშიროთ. ამასთანავე დაავადების გამოჩენისთანავე ჩავატაროთ ფუნგიციდით დამუშავება (ანტრაკოლი 20 გრ X 10 ლ წყალი, ხორუსი – 5 გრ X 10 ლ წყალი, ფავორიტი - 30 გრ X 10 ლ წყალი, პრევიკური – 20 გრ 10 ლ წყალი და სხვ).

მავნებლებიდან შეიძლება შეგვხვდეს ფოთოლმხევეები და ბუგრები. მათგან დაცვა შეიძლება ინსექტიციდებით (კარატე 15 გრ X 10 ლ წყალი, აქტელიკი - 25 გრ X 10 ლ წყალი, ულტივატუმი და სანსორი – 20 გრ X 10 ლ წყალი, ვერტიმაგი - 20 გრ X 10 ლ წყალი და სხვ.). ასევე შეიძლება გამოვიყენოთ ხალხური მეთოდი (თამბაქოს ფოთლების ნახარში ან პომიდორის ღეროფონი).

გამოყენება. *Lychnis chalcidonica* ძვირფასი დეკორატიული მცენარეა, ახასიათებს რეპროდუქციის მაღალი უნარი, თვითგანახლება და ფიტოდიზაინში გამოყენების მრავალმხრივი შესაძლებლობები. მრავალწლოვანი, ყინვაგამძლე, გვალვის ამტანი სახეობაა, ინარჩუნებს დეკორატიულობას ვეგეტაციის ბოლომდე ე. ი. მუდმივი სიცივეების დადგომამდე. თბილისის პირობებში კარგად გადაიზამთრებს, არ საჭიროებს არავითარ დამცავ ღონისძიებებს. ზრდას იწყებს ადრე გაზაფხულზე და ზამთარშიც კი ინარჩუნებს მწვანე შეფერილობას.

მებაღეობის პრაქტიკაში მისი გამოყენების დიაპაზონი ფართოა, როგორც მრავალწლიანი და მაღალი დეკორატიულობის მქონე მცენარისა. ის შეიძლება გამოყენებულ იქნეს კლდოვანი ბაღების გასაფორმებლად, ღია ნაკვეთებში მკვეთრი ფერის ლაქების შესაქმნელად, ჯგუფური ნარგაობის სახით ნახევარჩრდილში რეგულარულად დანესტიანებულ ადგილებზე, გაზონებზე, რაბატებში და მრავალწლოვან ნარგაობასთან ერთად, მიქსბორდერებში, როკარიებში. ამასთან გასათვალისწინებელია ეკონომიკური მხარე. იგი ერთ ადგილზე შესაძლებელია დარგული იყოს 5-6 წელი და აუცილებელი არ არის იმ ადგილებზე ახალ-ახალი მცენარეების დარგვა და მასზე გაწეული ხარჯები.

Lychnis chalcedonica-ს განსაკუთრებული გამოყენება აქვს სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში, რომელიც უხსოვარი დროიდან ხალხში ცნობილია როგორც საპნის ფესვები–мыльного корня, татарское мыло, дикое мыло, кукушкино мыло, девичье мыло, мыльница, мыльнянка. იყენებენ საპნის მაგიერ–სუროგატად. მცენარის ფესვებიდან მიღებული ქაფი განსხვავდება საპნის ქაფისაგან. იგი არ შეიცავს ტუტეებს. ქაფი წარმოიქმნება თვით უმცირესი კონცენტრაციის დროსაც კი, ზოგჯერ ასეთი განსხვავებისას 1 : 10 000. საპონინების ამ თვისებას ამჟამად იყენებენ ცეცხლმაქრებში, ტექსტილურ მრეწველობაში, შალისა და აბრეშუმის ქსოვილების გასარეცხად და გასათეთრებლად, რომელთათვისაც მიუღებელია სოდიანი საპნის გამოყენება, შუშხუნა დასალევეების დასამზადებლად [20].

ცნობილია, რომ მრავალი ქვეყნის ხალხურ მედიცინაში ფართოდ გამოიყენება **L. chalcedonica** როგორც ანთების საწინააღმდეგო, სოკოვანი, კანის და სისხლის დაავადებების სამკურნალოდ. იგი ოფიციალურ მედიცინაში და არც სამკურნალო მცენარეთა სიაშია არ არის შეტანილი. საპონინები მთლად უვნებელ ნივთიერებას არ წარმოადგენს. ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ რა გზით მოხვდება ის ადამიანის ან ცხოველის ორგანიზმში. უმეტესი საპონინები, თუ მოხვდება ადამიანის ორგანიზმში საჭმლის მომნელებელი ორგანოების გზით არავითარ ტოქსიკურ მოქმედებას არ ამჟღავნებს, მაგრამ თუ შეყვანილ იქნა სისხლძარღვებში იწვევს გემოლიზს – სისხლის წითელი სხეულაკების დაშლას [3]. აღნიშნული სახეობა არის კარგი თაფლოვანი მცენარე [21].

დასკვნები

ჩვენს მიერ ჩატარებული ცდებისა და დაკვირვებების შედეგად **L. chalcedonica-ზე** შეიძლება გავაკეთოთ შემდეგი დასკვნები:

დადგინდა, რომ **L. chalcedonica** სიცოცხლის პირველ წელს კულტურის პირობებში გადის განვითარების ყველა ეტაპს აღმოცენებიდან ახალგაზრდა რეპროდუქციული ასაკობრივი ჯგუფის ჩათვლით. ვირგინილური ეტაპის ხანგრძლივობა შეადგენს 100-110 დღეს (მარტი, აპრილი, მაისი, ივნისის მე-2 დეკადის ბოლო), ხოლო ცალკეული ასაკობრივი ჯგუფების ხანგრძლივობა ცვალებადია - 30-35 დღიდან 2-2,5 თვე.

განვითარების პირველ ეტაპზე დამახასიათებელია სხვადასხვა რივის დამოკლებული ყლორტების განვითარება, რომელიც წარმოდგენილია ფესვთანური როზეტის სახით და რომელიც სიმალლეში არ აღემატება მთავარ ყლორტს.

ონტოგენეზის პროცესში ასაკის ზრდასთან დაკავშირებით იზრდება მიწისზედა ბაზალური ნაწილი, განახლების კვირტების რიცხვი და შესაბამისად რეპროდუქციული ფერობის რაოდენობა მცენარეზე, ყვავილების რაოდენობა ყვავილელებში, თესლის პროდუქტიულობა და სხვა, მაგრამ ეს პროცესი გრძელდება სიცოცხლის გარკვეულ დრომდე. აღნიშნული მაჩვენებლების შემცირება და აგრეთვე ბაზალური ნაწილის ნაწილობრივი კვდომა დაფიქსირებულია სიცოცხლის მე-5, მე-6 წელს, რაც შეიძლება ჩავთვალოთ გარდა-მავალ ეტაპად სენილურ (სიბერის) პერიოდში გადასვლასთან დაკავშირებით.

დადგინდა, რომ შესწავლილი სახეობა ხასიათდება მაღალი რეზისტენტობით ადგილობრივ ნიადაგურ-კლიმატური პირობების მიმართ და შესაბამისად შეგუების საიმედო მაჩვენებლად შეიძლება ჩაითვალოს ხანგრძლივი ყვავილობა (ივნისის მე-2 დეკადიდან აგვისტოს ჩათვლით), უხვი თესლმსხმოიარობა, ზაფხულ-შემოდგომის განახლებული ვეგეტაცია, რის საფუძველზეც მცენარეები ინარჩუნებენ დეკორატიულობას ძლიერი ყინვების დადგომამდე, რიგ შემთხვევაში თვითგანახლების უნარი.

მცენარეთა მოსვენების პერიოდი განისაზღვრა 3 თვით /დეკემბერი, იანვარი, თებერვალი/.

მებაღეობის პრაქტიკაში აღნიშნული სახეობის გამოყენების დიაპაზონი მეტად დიდია როგორც მრავალწლოვანი და მაღალი დეკორატიულობის მქონე მცენარისა. ასევე მას განსაკუთრებული გამოყენება აქვს სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში და ხალხურ მედიცინაში

L.chalcedonica მოცემულ ეტაპზე მრავალ ქვეყანაში იმყოფება გაქრობის საშიშროების ქვეშ, გამოსულია კანონი მისი დაცვის შესახებ, ამდენად, მეტად მნიშვნელოვანია ამ სახეობის ინტროდუქცია და კულტურაში დანერგვა.

ლიტერატურა

1. Флора СССР. Т. V. Изд. Академии Наук СССР. М. - Л. 1936. с. 692-699.
2. Мерло А. С. Цветы нашего сада. 1972, Минск, с. 90-91.
3. Бочанцева В. В., Симачева Е. В. Жизнь растений. Т. 5 (1). „Просвещение“, Москва, 1980 с. 370.
4. Полетико О. М., Мишенкова А. П. Декоративные травянистые растения открытого грунта. 1967, Ленинград, с. 118.
5. Мороз И. И. Гвоздичные природной флоры для декоративного садоводства. Наукова думка. Киев, 1983, с. 90-91
6. Серебрякова И. Г. Морфология вегетативных органов высших растений. «Советская наука». М., 1952, 391 с.
7. Серебряков И. Г. Ритм сезонного развития растений Хибинских гор. Бюлл. МОИП, отд. Биол., Т. 61, вып. 5. 1961, с. 78-96
8. Бейдемман И. М. Методика изучения фенологии растений и растительных сообществ. Изд-во «Наука», Новосибирск, Сибирское отделение, 1974, 153 с.
9. Игнатъева И. П. Онтогенетический морфогенез вегетативных органов травянистых растений (Методические указания). М. 1983, 55 с.
10. Работнов Т. А. Жизненный цикл многолетних травянистых растений в луговых ценозах. Тр. Бот. Ин-та В. А. Комарова А. Н. СССР, сер. III, Геоботаника М.Л., вып. 6, 1950, с. 204
11. Игнатъева И. П. Жизненный цикл некоторых травянистых растений. Изв. АН СССР, сер. биол. №9, 1992, с. 201-213.
12. Баканова В. В. Цветочно декоративные многолетники открытого грунта. Науково думка, Киев, 1984, 150 с.
13. Луферов А. Н. Особенности индивидуального развития василистников секции *Physcarpi* DC. и *Erythrandra* Voivip. Морфология, Науч. Докл. Высш. Шл. Биол. Н, №6, 1982, с. 78-84.
14. Барабанов Е. И. Зайчикова С. Т. Большой жизненный цикл *Hypericum scabrum* L. Растительные ресурсы, 12, №3, 1982, с. 345-350
15. Каламбет Е. С. Морфогенез и жизненный цикл шалфея зеленого (*Salvia viridis* L.) Бюлл. Моип, 88, №3, 1983, с. 76-83
16. Жукова А. А. Онтогенез и цикл воспроизведения растений. «Журнал общ. Биол.». 44, №3, 1983, с. 361-374
17. Рогинский А. Б. Особенности дальневосточных видов рода *clematis* , . . . 152, , 1989, . 47-50
18. *Latirus davidii* Hance, , 3, 1990, 62-69
19. [htt: //flower. Onego. Ru/other/ Lychnis/htm/](http://flower.Onego.Ru/other/Lychnis/htm/)
20. [htt: //lektrara/ ru/ encyclopedia/zozka-obyknovennya/](http://lektrara/ ru/ encyclopedia/zozka-obyknovennya/)
21. [htt: // zakupator: com/sad/lichnis/htm/](http://zakupator.com/sad/lichnis/htm/)
22. <http://www.plantarium.ru/page/redbooklid/56/html>
23. <http://www.ecosistema.ru/08nature/flowers/.184/htm>

Morphobiological peculiarities of *Lychnis chalconica* L. in culture

Eter Gogitashvili - Academic Doctor of Biological,

Marine Muchaidze - Academic doctor of Agriculture,

Sopiko Chitashvili - Researcher of the National Botanical Garden of Georgia,

Ketevan Tavartkiladze - Academic Doctor of Biological

Abstract

The article contains the information on the morphobiological peculiarities of one species -*L. chalconica* of genus *Lychnis* L. in the introduction process. The life cycle of the plant, including the period from emergence to an adult generative plant in the first and subsequent years is divided into two periods of development – virginal and generative with different age groups. They differ from one another in a certain qualitative and quantitative indicators: 1. Virginal period comprises four age groups - sprout, juvenile, immature or young vegetative and adult vegetative plants. 2. Generative Period encompasses two age groups: young generative and adult generative plants.

The studied species is a perennial polycarpic plant that is characterized by monocyclic and dicyclic stems. A monocarpic stem produces flowers and fertilizes, then it withers and its basal part remains near the surface of the earth and then develops the following buds; Each monocarpic stem passes the following phases: buds, short-cut sprouts and flowering reproductive sprout that passes its full development cycle in one or two years.

L. chalconica passes through all the stages of development, including emergence and young reproductive age groups in the first year of life. The duration of the virginal phase is 100-110 days (March, April, May, and the last of the 2nd decade of June);

In the virginal period duration of separate age groups varies from 30-35 days to 2-2.5 months. The senile period is recorded in 5-6 years of life. Flowering period lasts 80 days.

It has been estimated that after seed production in summer and autumn development of new vegetative sprouts is characteristic for the plant (summer-autumn vegetation). The dormant period lasts 3 months (December, January, and February).

As a perennial and high-decorative species it is widely used in practical horticulture. The plant is particularly used in different fields of economy and in the folk medicine of many countries.

The investigated species is characterized by high resistance to local soil-climatic conditions and, therefore, while introducing it under the culture conditions its regular and long-lasting flowering, seed production, and in some cases self-restoration can be considered to be as a reliable indicator of adaptation.

Iberis amara L. და I. procumbens როზორც პერსპექტიული ინტროდუცენტები

ეთერ გოვიტაშვილი—ბიოლოგიის აკადემიური დოქტორი,
მარინე მუჩაიძე—სოფლის მეურნეობის აკადემიური დოქტორი

საკვანძო სიტყვები: იბერისი, ინტროდუქცია, ონტოგენეზი, მორფოგენეზი, სასიცოცხლო ციკლი.

რეზიუმე

შრომში მოცემულია ორი სახეობის იბერისის (*Iberis amara* და *I. procumbens*) თესლიდან გამოზრდილ მცენარეთა მორფოგენეზისა და სეზონური ზრდა-განვითარების რითმი თბილისის სემიარიდული კლიმატის პირობებში.

შესავალი.

მწვანე ნარგაობა ყვავილოვანი გაფორმების გარეშე წარმოდგენილია და ქალაქის ლანდშაფტის დიზაინში დიდი მნიშვნელობა ენიჭება, ამიტომ მეტად აქტუალურია უკვე აპრობირებული და გამოყენებული ყვავილოვანი მცენარეების გვერდით დღემდე უცნობი სახეობებისა და ჯიშების შესწავლა, რომლებიც გამოირჩევიან არა მარტო მაღალი დეკორატიული თვისებებით, არამედ ხასიათდებიან დიდი შემგუებლური უნარით ქ. თბილისის და მისი მსგავსი კლიმატის მქონე რაიონების მიმართ. ამ მხრივ საინტერესო და ორიგინალურ მცენარეს დეკორატიულ ყვავილოვან მცენარეთა ასორტიმენტის შესავსებად წარმოადგენს გვარი იბერისის (*Iberis*) ზოგიერთი სახეობა. ასეთი კვლევები თანამედროვე ეტაპზე მნიშვნელოვანია, მითუმეტეს, რომ მრავალი მცენარე გამჭრალაია ადამიანის სამეურნეო საქმიანობის და ასევე ეკოლოგიური გარემოს შეცვლის გამო, რომელიც ჩვენი კვლევის ერთ ერთ ობიექტს – *Iberis amara* –საც ეხება.

კვლევის მიზანი, ობიექტი და მეთოდიკა

კვლევის მიზანი. საკვლევ მცენარეთა ონტოგენეტიკური თავისებურებების გამოვლენა და ფენოლოგიური განვითარების ანალიზი ინტროდუქციის პროცესში.

ობიექტი და მეთოდიკა. კვლევის ობიექტს წარმოადგენდა სხვადასხვა გეოგრაფიული წარმოშობის გვარი იბერისის (*Iberis L.*) ორი სახეობა: მწარე იბერისი–*Iberis amara L.* და მწოლიარე იბერისი–*Iberis procumbens Lange.* საწყისი მასალა თესლის სახით მიღებულია საფრანგეთიდან (*Wille de Renes garden botanic*) და ესპანეთიდან (*Garden botanica de castilio - la mancha arborete*). კვლევა ჩატარდა საქართველოს ეროვნულ ბოტანიკურ ბაღში 2015-2017 წლებში სამოდულე მცენარეებზე, რომლებიც გამოზრდილი იყო ადგილობრივი რეპრო-დუქციის თესლებიდან.

თითოეული სახეობის ვეგეტატიური ორგანოების მორფოგენეზს და რითმოლოგიურ თავისებურებებს ვსწავლობდით მორფოლოგიური სტრუქტურის დასადგენად ონტოგენეზში, ასევე აღირიცხებოდა სასიცოცხლო ციკლის და განვითარების ცალკეული ეტაპების ხანგრძლივობა. ვიყენებდით საერთოდ მიღებულ მეთოდიკას [1], ი. იგნატიევას [2,3,4], და ვ. ბაკანოვას [5,6,7] შრომებს

კვლევის შედეგები

გვარი იბერისი (*Iberis L.*) რომლის სინონიმია *Arabis Adamson*-ი ჯვაროსანთა ოჯახიდან (*Brassicaceae Burnet* ან *Cruciferae Juss.*) აერთიანებს 40-მდე ერთწლოვან, მრავალწლოვან ან ნახევრადუჩქ სახეობებს. კავკასიაში იზრდება ორი სახეობა (*I. taurica DC.* და *I. amara L.*) [8], აქედან ერთი *I. amara* აღნიშნულია საქართველოსათვის. გვარის სახელწოდება მიუთითებს მათი ბუნებრივი გავრცელების არეალს-იბერია, ასე უწოდებდნენ ძველად ესპანეთს [9].

მიუხედავად ამ გვარში შემაჯავლი მრავალწლოვანი მცენარეების არსებობისა, უყურადღებოდ არ უნდა დავტოვოთ ერთწლოვანი სახეობები, რამდენადაც უდაოა, რომ მათ აქვთ დიდი დეკორატიული ღირსება. ერთწლოვნებიდან ერთერთ მნიშვნელოვან სახეობას წარმოადგენს *I. amara* - მწარე იბერისი.

Iberis amara. – მწარე იბერისი კულტურაში შეტანილია XVI საუკუნიდან [9]. ველურად იზრდება ყირიმში, კავკასიაში, რუსეთის ევროპული ნაწილის სამხრეთში, ხმელთაშუაზღვეთში, დასავლეთ ევროპაში, იტალიაში, რუმინეთში, გავლურებულია ალჟირში, თურქეთში, ახალ ზელანდიაში და სხვა ქვეყნებში, საკმაოდ მშრალ კირქვიან ნიადაგებზე დანაგვიანებულ ადგილებში, ითვლება სარეველად [10, 11].

ეს სახეობა საქართველოსათვის, კერძოდ თბილისის მიდამოებისათვის მითითებულია გ. რადეს მიერ თბილისში ნანახი ერთადერთი ეგზემპლარის საფუძველზე (Tiflis, VII, 1867, 205, G. Radde), რომელიც დაცულია ლენინგრადში, ვ. კომაროვის სახ. ბოტ. ინსტიტუტის ჰერბარიუმში. გ. რადეს შემდეგ თბილისის მიდამოებში და საერთოდ საქართველოში ჯერჯერობით არავის შეუგროვებია. ნ. ბუშის (1907, 1. c.) მითითებით შუა ევროპის ეს მცენარე თბილისში ადამიანის მიერაა შემოტანილი და სრულიად ადვილი შესაძლებელია, რომ ის, როგორც კავკასიის ფლორის დროებითი სტუმარი უკვე გაქრა თბილისის მიდამოებიდან [12]; თუმცა *I. amara* მოყვანილია ა. მაყაშვილის თბილისის მიდამოების ფლორაში [13], საქართველოს მცენარეების სარკვევში [14] და ასევე შეტანილია რ. გაგნიძის საქართველოს ფლორის ნომენკლატურულ ნუსხაში [15].



სურ. 1. *Iberis amara* ყვავილობისას

Iberis amara ერთწლოვანი, ბალახოვანი მცენარეა. ღერო შიშველი ან მსუბუქად შებუსხული, ნახევრად მწოლიარე, სიმაღლით 30-40 სმ-ია, რომლებიც ფესვის ყელიდან ძლიერ დატოტვილია. ფოთლები მორიგეობითი, ფრთისებრდანაკოტული. ყვავილები 1,5 – 2 სმ დიამეტრის, ოთხწევრიანი, თეთრი ან ღია-იისფერი, ყლორტების წვერში შეკრებილი 4-4,5 სმ დიამეტრის ფარისებრ ყვავილედად. ყვავილედში განაპირა ყვავილების გვირგვინის ფურცლები უფრო დიდი ზომისაა, ვიდრე შიგნითა. ყვავილედში 40-მდე ყვავილია, სასი-ამოვნო თაფლის არმატით, რომელიც მორიგეობით იშლება. ჩვენ პირობებში ყვავილობას იწყებს მაისის ბოლოდან, მასობრივი ყვავილობა აღინიშნება ივნისში, დასასრული ივლისის ბოლოს. ყვავილების გაშლამდე ყვავილედის ცენტრი მოშავო-მოყავისფროა, სრული გაშლისას თეთრი, გადაყვავილებისას მოვარდისფრო-მოიასამნისფრო. ერთ მცენარეზე ერთდროულად იშლება 600-მდე ყვავილი (სურ. 1). ამავე პერიოდში ფიქსირდება მეორე რივის საყვავილე ყლორტების განვითარება ყვავილედების ჩანასახებით, რომლებიც ამ ყლორტების ზრდასთან ერთად დიდდება, მოგვიანებით კი ყვავილობს და ნაყოფმსხმო-იარობს. ნაყოფი მიტკეცილი პარკია, მომრგვალებული, წვერში ამოკვეთილი. თესლი მწიფდება აგვისტოში, აღმოცენების უნარს ინარჩუნებს 3-4 წელი.

4. M.M. Karaođlu. 2012. Effect of *Cephalaria syriaca* addition on rheological properties of composite flour. Institute of Agrophysics, Polish Academy of Sciences. pp. 387-393;

Chemical Characteristics of Triticale (×Triticosecale Wittmack) and Cephalaria (Cephalaria syriaca)

Leri Gvasalia - Emeritus of Technical University of Georgia,
Tinatın Epitashvili - Ph.D. student of Technical University of Georgia,
Tamar Kacharava - Professor of Technical University of Georgia

Key words: Triticale, Cephalaria, Bread, Technology

Abstract

The article presents chemical characteristics of selected forms of unique crop-hexaploid triticale (×Triticosecale Wittmack) and Cephalaria (*Cephalaria syriaca*). Optimum proportions of wheat flour mixture to obtain food for high nutritional value - for the quality and storage time used by *Cephalaria syriaca*, which was obtained as a result of the studies of ethnotonical information banks.

აგრარული ეკონომიკა Agrarian Economy

ფერმერულ მეურნეობებში რისკის მართვისა და შეფასების მეთოდოლოგია და მეთოდობა

ომარ ქეშელაშვილი-საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი

საკვანძო სიტყვები: ფერმერული მეურნეობა, რისკი, მართვა, მეთოდოლოგია, მეთოდობა, მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვრები, სინთეზირებული მაჩვენებელი.

რეზიუმე

გაშუქებულია ფერმერულ მეურნეობებში სამეურნეო რისკის მართვისა და შეფასების აქტუალობა, მისი მეთოდოლოგია, რისკის შეფასების მაჩვენებელთა სისტემა და ძირითადი კრიტერიუმები; რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვრებისა და უკუგების ოპტიმალური დონეების განსაზღვრის მეთოდობა; წარმოდგენილია სინთეზირებული მაჩვენებლის განსაზღვრისა და რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკურ ზღვარსა და რისკის უკუგების დონეს შორის პროპორციების დადგენის მეთოდობა.

თანამედროვე პირობებში, სამეურნეო რისკის პრობლემა განსაკუთრებულ აქტუალობასა და ყურადღებას იქცევს და მის სწორ შეფასებასა და მართვაზე უპირატესად დამოკიდებული ეკონომიკური ზრდის მთელი პროცესი.

საერთოდ, სამეურნეო რისკის შეფასებისათვის სხვადასხვა მკვლევარისა და მენეჯერის მიერ განსხვავებული პოზიციის შემოთავაზებული.

სპეციალური ლიტერატურიდან ცნობილია, რომ რისკს გამოხატავენ, როგორც თავისუფალ ქმედებას, შესაძლო საფრთხეს, ნებისმიერი საქმიანობის წარმოებასა და რეალიზაციასთან დაკავშირებულ პროცესს, ნაკლებ შემოსავალს, დანაკარგებს და ა.შ. ამის შესაბამისად, მიჩნეულია, რომ იგი შეიძლება განისაზღვროს როგორც აბსოლუტური ისე შეფარდებითი გამოხატულებით.

უსაფრთხოების მიხედვით რისკი შეიძლება დაიყოს შემდეგნაირად:

- ტექნოლოგიური, ბუნებრივი და შერეული (ავარიული მდგომარეობა, გარემოს დაბინძურება და სხვ.);
- სტიქიური;
- ფინანსური და კომერციული;
- პროფესიონალური;
- ინვესტიციური.

გამოყოფენ ე.წ. “გონივრული რისკის” შემდეგ საზღვრებს:

1. ეკონომიკურს—როგორ არის მზად მეწარმე რისკისათვის, თუკი მის ხელთ არსებული რესურსები შესაბამისა საწარმოს განვითარების მიზნებსა და ამოცანებს. რისკის ზღვარზე მოქმედ ფაქტორებს მიეკუთვნება პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის სტაბილურობა, გადახდისუნარიანობა, სწორი აღრიცხვა, ბიზნესის მომგებიანობა; მეორეს მხრივ—საიმედო მართვა, ხელმძღვანელის ინტუიცია, ამას ემატება სოციალურ-პოლიტიკური სიტუაცია;

2. სამართლებრივს—რისკი აღარ განიხილება როგორც უპასუხისმგებლობა ან დაუდევრობა.

ყველაზე რეალურ სურათს იძლევა რისკის აბსოლუტურ გამოსახულებაში განსაზღვრა, რომელიც თავისთავად შეიძლება მოერგოს ზემოთ ჩამოთვლილ ყველა პოზიციას, ანუ პოზიცია-ფაქტორებს. აბსოლუტურ გამოსახულებაში რისკი, როგორც წესი განისაზღვრება დანაკარგების შესაძლო სიდიდით, მატერიალურ-ნივთობრივ (ფიზიკურ) ან ღირებულებით (ფულად) გამოსახულებაში. ეკონომიკურ გამოკვლევებში პრიორიტეტი ამ უკანასკნელს უნდა მიეცეს.

რისკის დანაკარგებში გამოხატვა ეს იგივეა რაც დანახარჯების კრიტერიუმის შემოღება. ეს იმას ნიშნავს თუ რამდენად მცირე დანაკარგია მოსალოდნელი ანუ რამდენად ნაკლები დანახარჯის გაწევაა საჭირო შედეგის მისაღწევად, ანუ რისკის გასამართლებლად. დანახარჯების უკუგება შეიძლება გამოიხატოს მოგების (+) ან წაგების (-) მიხედვით.

თუ დანაკარგები (შესადარებელ ვარიანტთან, პოზიციასთან შედარებით, ანდა საერთოდ ამა თუ იმ პოზიცია-ფაქტორის შემთხვევაში) არ იქნა (ანდა მცირე იქნა), ანუ ნაკლები დანახარჯის (სახსრების ეკონომიკური ხარჯვის) პირობებში მეტი ეკონომიკური შანსია მოგების მისაღებად (დადებითი(+)) უკუგებისათვის), ხოლო თუ დიდია (მეტია, მაღალია) დანახარჯი-მოსალოდნელია წაგება, რაც ნიშნავს, რომ ასეთი რისკი (ლონისძიება, გზა) არ არის გამართლებული.

სამეურნეო რისკის განსაზღვრისა და შეფასების თემა ახლა გამაღებული კვლევის პროცესშია. იგი მთელი მსოფლიოს მეცნიერთა და ბიზნესმენ-მენეჯერთა დიდ ყურადღებას იპყრობს და მათი კვლევისა და საქმიანობის ძირითადი სივრცეა.

რისკი, თანამედროვეობის ერთ-ერთ აქტუალურ პრობლემად ითვლება. მოისინჯა ბევრი მიდგომა და მეთოდიკა, გაიარა დისკუსიების ხანგრძლივმა პერიოდმა, რომელიც კვლავ ფართოდ გრძელდება, მაგრამ ბევრ საკითხზე ჯერ კიდევ არ არის მიღწეული შეთანხმება. ეკონომისტები ერთი ჯგუფის მაჩვენებლებისაკენ იხრებიან, მათემატიკოსები—მეორე ჯგუფისკენ, პროგრამისტებს თავისი შეხედულებები აქვთ და ა.შ. თუმცა, ცხადია, რომ რისკი მხოლოდ სხვადასხვა, ურთიერთდაკავშირებული გარემოს, პირობისა და ფაქტორის კომპლექსური მოქმედების გათვალისწინებით უნდა განისაზღვროს და შეფასდეს.

ჩვენის აზრით, რადგანაც რისკი, ეკონომიკური მოვლენის შიგნით, კერძოდ საწარმოო (მ.შ. სოფლის მეურნეობის) სფეროში ძირითადად ეკონომიკურ-ორგანიზაციული ხასიათის ლონისძიებების გატარებას (გარისკვას) უკავშირდება და რომელიც უპირატესწილად დანახარჯების კრიტერიუმს ეყრდნობა, ასევე უპირატესად ეკონომიკური პარამეტრების გამოყენებით უნდა განისაზღვროს და შეფასდეს. ცხადია ეს არ გამოირიცხავს მათემატიკური, ვარიაციული, პროგრამირების ელემენტების უხვ და მომარჯვებულ გამოყენებას. ეკონომიკა ხომ მათემატიკურ, რეგრესიულ-კორელაციურ გათვლებს ეყრდნობა და თანდათან კომპ-უტერულ ტექნოლოგიებსაც ძალზე მჭიდროდ უკავშირდება.

ამრიგად, რისკის განსაზღვრის შეფასებისა და მართვის მეთოდოლოგია მეცნიერთა ფართო კვლევის საგნად რჩება, ძიებაშია ახალი მიდგომები, ახალი კრიტერიუმებისა და განზომილებების შემოღების ცდები.

ამჟამად, ძალზე პრინციპულად და აქტუალურად დგება საკითხი იმის შესახებ, რომ სოფლის მეურნეობის და მასთან ფუნქციონურად დაკავშირებული კვების მრეწველობის თითოეული დარგის განვი-თარება უნდა ეყრდნობოდეს მკაცრად მიზნობრივ და მეცნიერულად დასაბუთებულ მიდგომებსა და ტექნიკურ-ეკონომიკურ პარამეტრებს, მორგებულ მექანიზმს, რომლის საბოლოო შედეგი მხოლოდ მომგებიანი და კონკურენტუნარიანი საქმიანობა იქნება.

უკანასკნელ ხანს, ფართო აღიარება და მხარდაჭერა ჰპოვა და საბაზრო პრინციპებს მორგო სამეურნეო რისკის თეორიისა და გამოყენებითი ხასიათის მეთოდები, რაც უტყუარ საფუძველს ქმნის ყველაზე ოპტიმალური და მომგებიანი გადაწყვეტილებების მიღებისათვის.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების პროცესში, სამეურნეო რისკის მიხედვით თითოეული ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმირებისათვის, რაიონისათვის, ზონისათვის, ასევე ქვეყნის მასშტაბით, შეიძლება დადგინდეს, თუ როდის და რა მასშტაბით უნდა გავწიოთ რისკი ეკონომიკური დაბანდები-სათვის, ამა თუ იმ სასოფლო-სამეურნეო კულტურის, დარგისა თუ მიმართულების განვითარების თვალსა-ზრისით. ამის შესაბამისად, ამა თუ იმ სპეციალიზაციის პირობებში, როგორ, რა ღონით, რა მასშტაბით, როგორი შეთანაწყობითა და თანმიმდევრობით, როგორი ინტენსივობით უნდა გამოვიყენოთ წარმოების რეა-ლურად არსებული პირობები, ეკონომიკურ-ორგანიზაციული ბერკეტები, რათა მივიღოთ გარანტირებული მოგება, საბაზრო სეგმენტების სწორი გაჯერებისა და ათვისების, აგრეთვე საქსპორტო-საიმპორტო გამა-რთლებული ურთიერთობების ჩამოყალიბების გზით.

საქართველოს სოფლის მეურნეობაში სამეურნეო რისკის თეორიისა და შესაბამისად მისი შეფასების მეთოდიკის პრაქტიკული გამოყენების პრეცედენტი ბოლო დრომდე არ გაგვანდა. ამ ხაზით მუშაობას, ჩვენი ხელმძღვანელობით, XXI საუკუნის დასაწყისში ჩაეყარა საფუძველი. ახლა, ეს მუშაობა ფართო მა-სშტაბით უნდა განვითარდეს და ეკონომიკურ გამოკვლევებში პრიორიტეტული ადგილი უნდა დაიკავოს.

აქ თუ მოკლე ანალოგიას მივმართავთ, უნდა აღინიშნოს, რომ მცენარეთა დაცვის მეცნიერებას, უკვე კარგა ხანია გააჩნია მეთოდი, რომლითაც ღვინდება მცენარეთა მავნე ორგანიზმების მავნეობის ზღვარი და, ამის შესაბამისად, მათ წინააღმდეგ ბრძოლის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვარი. ეს ნიშნავს იმის დადგენას, თუ როდის ექნება მათ წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებების გატარებას გამართლება ეკონო-მიკური

თვალსაზრისით, მცენარეთა მავნე ორგანიზმების გავრცელების მასშტაბისა და კონკრეტული დონის პირობებში, და ამასთან იქნება თუ არა ეს მისაღები ბიოლოგიური და აგრონომიული თვალსაზრისი-თაც.

როგორც ვხედავთ, შინაარსობრივად და პრაქტიკული ხედვითაც ეს ხედმიწვენივით მისაღები და გამართლებული პოზიცია და მიდგომაა.

ასევე ითქმის სასოფლო-სამეურნეო წარმოების პროცესში სამეურნეო რისკის შესახებაც.

როგორც ჩანს, დგება საკითხი დამუშავდეს სამეურნეო რისკის შეფასების კომპლექსური მეთოდოლოგია, რომელშიც თავმოყრილი იქნება როგორც ზემოთ აღნიშნული მეთოდოლოგიური მიდგომები, ისე, ის სპეცი-ფიკური გათვლებიც, რომელიც ერთიან სისტემაში ასახავს სამეურნეო რისკის შეფასების ეტაპობრივ და ვარიანტულ შედეგებს, აგრეთვე მეურნეობრიობის ცალკეული ელემენტისა და ფაქტორის გამოყენების შეფასების სინთეზირებულ მაჩვენებლებს.

ამრიგად, სამეურნეო რისკის შეფასებით შესაძლებლობა გვეძლევა დასაბუთებულად განვსაზღვროთ სოფლის მეურნეობის განვითარების ძირითადი და სტრატეგიული მიმართულებები, წარმოების სპეციალიზაცია, წარმოების პროცესზე ზემოქმედი ფაქტორების მაღალი უკუგებით გამოყენების პირობები და მათი ურთიერთშეთანაწყობის დონე, ამასთან, ეტაპების მიხედვით ვარეგულიროთ დარგობრივი სტრუქტურა, არსებული რესურსებისა და საქონლის განაწილება და საბაზრო სემენტების გაჯერების სტრატეგიის ხარისხი, გამოვავლინოთ წარმოების ძლიერი და სუსტი მხარეები.

კვლევის შედეგად, ჩვენ შევძელით შეგვექმნა სოფლის მეურნეობაში სამეურნეო რისკის გაგებისა და შეფასების მაჩვენებელთა **სრულიად ახალი სისტემა**, რომელმაც წესრიგში მოიყვანა რისკის დასახვის, მი-სი კრიტერიუმების შერჩევის შეფასების (ეფექტიანობის) მაჩვენებელთა დადგენის, მათი პროგნოზირებისა და მართვის მთელი პროცესი.

ეს სისტემა მოიცავს ახლებურად დანახულ რისკის ფაქტორ-პოზიციებს (რისკ-ფაქტორებს) ანუ ურთიერთდაკავშირებულ, ურთიერთშეწონასწორებულ და ურთიერთგანმსაზღვრელ მაჩვენებელთა რამდენიმე მსხ-ვილ ჯგუფს, რომელიც იყოფა რისკის გაწვევის სვლების (სარისკო ღონისძიებების) შემდეგ კატეგო-რიებად და ინგარაშიება საკვლევად შერჩეული ტიპური ფერმერული მეურნეობებისათვის (ცალ-ცალკე):

ეკონომიკურ-ორგანიზაციული ფაქტორ-პოზიცია, მოიცავს შემდეგ შესაფასებელ მახასიათებლებს:

- წარმოების სპეციალიზაციის დონეს;
- წარმოების (მეურნეობის) სიდიდეს;
- ფონდურ-უნველყოფის დონეს.

ეკონომიკურ-ტექნოლოგიური ფაქტორ-პოზიცია, (ტექნოლოგიური უსაფრთხოების პირობით) მოიცავს შემდეგ შესაფასებელ მახასიათებლებს:

- სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მოსავლიანობას;

საფინანსო-საკრედიტო ფაქტორ-პოზიცია, მოიცავს შემდეგ შესაფასებელ მახასიათებლებს:

- მეურნეობის მდგრადობის დონეს;
- მეურნეობის გადახდისუნარიანობის დონეს;
- მეურნეობებში გაწეული დანახარჯების დონეს.

მარკეტინგული ფაქტორ-პოზიცია, მოიცავს შემდეგ შესაფასებელ მახასიათებლებს:

- საქონლის ფასის დონეს.

აღნიშნული სისტემის მნიშვნელოვანი ნაწილია ამ სარისკო ჯგუფების შედეგობრივ ნიშნებს შორის პროპორციების დადგენა, შესაბამისი კოეფიციენტების მეშვეობით, აგრეთვე ამ თითოეული ჯგუფის ყველა ნიშნის სინთეზური (ოპტიმიზირებული) პარამეტრის შემოღება და დადგენა, რომელიც განზოგადებულად ასახავს საერთო რისკის (მისი ელემენტების ერთობლიობის) ერთიან, საბოლოო შედეგს.

მდგრადობის დონე უნდა განისაზღვროს ფორმულით:

$$P = \frac{\text{ვალდებულებები მოზიდულ სახსრებზე}}{\text{საკუთარი სახსრები}}$$

მდგრადობის დონე გაანგარიშებული უნდა იქნას კოეფიციენტის სახით.

მდგრადობა გვიჩვენებს თუ რამდენად შეუძლია საწარმოს განვითარდეს საკუთარი სახსრების (შესაძლებლობების ხარჯზე) და რამდენად არის იგი დამოკიდებული გარე დაფინანსების წყაროებზე.

მოზიდული სახსრები არის გრძელვადიანი და საშუალოვადიანი კრედიტები.

გადახდისუნარიანობა გაიანგარიშება ფორმულით;

$$\frac{გ/უ}{მგ} = \frac{\quad}{\quad}$$

სს—მეურნობის საბრუნავი (ფულადი) სახსრებია;

მე—მოკლევადიანი ვალდებულებების ჯამი.

გადახდისუნარიანობა დამაკმაყოფილებელია თუ კორფიციენტი (გ/უ) უდრის 2-2,5.

სოფლის მეურნეობაში სამეურნეო რისკის შეფასებისათვის, აღნიშნული პოზიციების მხედველობაში მიღებით, საქართველოში პირველად ჩვენს მიერ შემოღებულია ისეთი ახალი პარამეტრი, როგორცაა რი-სკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვარი. ამისათვის ხმარებაში შემოგვაქვს საგანგებო, გამართივი-ბული სახის ფორმულა-მუდმივა.

მისი გამოყენებით დგინდება სამეურნეო რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვრები, ზემოთ აღნიშნული სხვადასხვა ეკონომიკურ-ორგანიზაციული, ეკონომიკურ-ტექნოლოგიური და სხვა ტიპის პოზიციისათვის, ანუ ფაქტორ-პოზიციისათვის.

სამეურნეო რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვრის დადგენის ცდები ეკონომიკურ და სპეციალურ ლიტერატურაში არ მოგვეპოვებოდა. ჩვენს მიერ შემოტანილი მეთოდი სრულიად ახალი მიდგო-მაა და ახლებურად ასახავს რისკის გაწვევის დასაბუთებულობასა და მიზანშეწონილობას. ამ მაჩვენებლის მომარჯვებით უნდა დადგინდეს რისკის გაწვევით მიზანშეწონილია თუ არა ამა თუ იმ ეკონომიკურ-ორგანიზაციული, ტექნოლოგიური ან სხვა ხასიათის ღონისძიების გატარება, მიმართულების რეალიზაცია, ანდა სამუშაოთა შესრულება, რათა ამის შედეგად ნაკლებ დანაკარგებს ჰქონდეს ადგილი და მიღწეული იქნას მაღალი უკუგებაც (ეკონომიკური ეფექტი). საბოლოო ჯამში ამით დასტურდება, რომ გაწეულ რისკს, ამა თუ იმ კონკრეტული ნაბიჯის მიხედვით, გამართლება ჰქონდა და გარკვეული მოგებაც მოიტანა.

რისკის მიზანშეწონილობის ზღვრების დადგენა არ არის ერთჯერადი აქტი, იგი პერიოდულ კორექტირებას და შესწორებას მოითხოვს, მასზე მოქმედი სხვადასხვა პირობისა და ფაქტორის გათვალისწინებით. ამის შესაბამისად, ერთ შემთხვევაში ამ ზღვრის ერთი დონე შეიძლება მისაღებად ჩაითვალოს, მეორე შემთხვევაში კი მეორე, რადგანაც იგი დგინდება განყენებულად ერთი რომელიმე ეკონომიკური სვლის (ღონისძიების, მიმართულების და ა.შ.) მიხედვით. აი, რაც შეეხება რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვრისა და უკუგების სინთეზირებულ მაჩვენებლებს, ისინი რაც უფრო სტაბილური და მაღალი იქნება, მით მეტ დასაბუთებულობას ანიჭებს წარმოების გაძლოლის პროცესს, ასეთი რისკის პირობებში.

ჩვენს მიერ შემოთავაზებული მეთოდური მიდგომის მიხედვით, **სამეურნეო რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვრები** დგინდება შემდეგი სახის ფორმულის (ფორმულა-მუდმივას) გამოყენებით:

$$R = (X \cdot 2) / P$$

სადაც: **R** —არის რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვარი;

X —გაწეული ხარჯები (ლარი), კონკრეტულ ღონისძიებებზე ან მთლიანად საწარმოში (მეურნეობაში, ფირმაში), კონკრეტული ფაქტორის მიხედვით;

P —მიღებული შემოსავალი (ლარი), კონკრეტული ღონისძიების გატარების შედეგად, ან მთლიანად მეურნეობის (ფირმის) მიერ.

მაგ. გაწეული ხარჯები მეურნეობაში 1 ჰა-ზე უდრის 100 ლარს, მიღებული მთლიანი შემოსავალი 1 ჰა-ზე არის 250 ლარი, მაშინ

$$R = (100 \cdot 2) / 250 = 0,80$$

ეს ნიშნავს, რომ ყოველი 1 ლ. შემოსავალი მიიღება 0.80 ლარის დანახარჯის პირობებში, ანუ ყოველ მიღებულ (მისაღებ) 1 ლარ შემოსავალზე გასაწევი ხარჯების მაქსიმალური ზღვარია 0,80 ლარი.

რაც ნაკლებია ეს პარამეტრი, მით მეტი გამართლება აქვს რისკს (ამ სარისკო ღონისძიების გატარებას).

ამის გარდა, რისკის შესაფასებლად ჩვენ ვიყენებთ მეორე ისეთ მაჩვენებელს, როგორცაა **რისკის უკუგების დონე**. იგი, ცნობილი მეთოდოლოგიური მიდგომების საფუძველზე იანგარიშება შემდეგი ფორმულით:

$$L = (P - X) / X$$

სადაც: **L** არის რისკის უკუგების დონე (კოეფიციენტის სახით გამოხატული);

X – გაწეული ხარჯები (ლარი);

P – მიღებული შემოსავალი (ლარი);

L – ნიშნავს, ყოველ დახარჯულ ლარზე თუ რამდენი ლარი შემოსავალი მიიღება.

თუ **L** მაჩვენებელს გავამრავლებთ 100-ზე, მივიღებთ მოგებას, პროცენტობით.

სამეურნეო რისკის მეთოდის საკითხებზე მუშაობისას, ჩვენ ვცადეთ რამდენადმე დაგვეზუსტებინა რისკის უკუგების ზემოთ შემოთავაზებული ფორმულა და მას შემდეგი სახე მივეცით:

$$L = ((R \cdot P) - X) / X$$

ჩვენ ვხელმძღვანელობთ იმით, რომ ასეთი მიდგომა, როცა უკუგების დონე დგინდება ეკონომიკური მიზანშეწონილობის ზღვრის კორექტირებით, გამოიყენება მცენარეთა დაცვის ეკონომიკის საკითხების კვლევისას, სადაც მან გაამართლა. ჩვენს შემთხვევაში კი ასეთმა მიდგომამ მთლად სწორი სურათი არ გვიჩვენა. კორექტირების ამ წესის გამოყენებით ხელოვნურად შემცირდა რეალური უკუგების დონე, თუმცა საკვებით შეიძლებოდა მის მიხედვითაც გარკვეული დასკვნების გამოტანა და რისკის უკუგების დონის ერთ-ერთ ვარიანტად წარმოგვეჩინა.

ამის მიუხედავად, მეცნიერული ლოგიკის საფუძველზე უფრო გამართლებულად მივიჩნით გვეჩვენებინა რისკის უკუგების აბსოლუტური და არა კორექტირებული დონე, რითაც სრულად გამოჩნდებოდა ღირებულებით მაჩვენებელში ამა თუ იმ პოზიციის რისკისათვის გაწეული დანახარჯების უკუგების დონე. რისკის შეფასებისათვის კი სწორედ ეს აბსოლუტური მაჩვენებელია მეტად მნიშვნელოვანი და მის სათანა-ლიზოდ განმსაზღვრელი.

ასეთი მეთოდოლოგიური წიაღსვლები იმისკენ გვიბიძგებს, რომ მომავალში საჭიროა თანდათან და გზადაგზა კიდევ უფრო დაიხვეწოს რისკის შეფასების ეკონომიკური მეთოდები, შემოტანილი იქნას ახალი მიდგომები, პარამეტრები და მახასიათებლები. ეს განსაკუთრებით უნდა დაუკავშირდეს იმას, რომ რისკი ერთ და ორ ფაქტორსა და პირობას როდი უკავშირდება, იგი ეკონომიკურ-ორგანიზაციულ ღონისძიებათა მთელი კომპლექსის მოთხოვნა, გამოვლინება და ამავე დროს შედეგია, და, თუ უფრო ჩავუღრმავდებით ამ საკითხს, რისკი უკავშირდება არა მარტო ეკონომიკურ-ორგანიზაციულ, არამედ ეკონომიკურ-ტექნოლო-გიურ, ფსიქოლოგიურ, სამართლებრივ და სხვა ასპექტებსა და ფაქტორებს, რომელთა ურთიერთშეწონას-წორებული მოქმედების გათვალისწინება, როგორც წესი აუცილებელი და გარდაუვალია.

ასეთი სიღრმისეული კვლევები მომავლის საქმეა.

ამ მოსაზრების მხედველობაში მიღებით ჩვენ შევეცადეთ ერთმანეთთან დაგვეკავშირებინა რისკის გამ-პირობებელი რამდენიმე ფაქტორ-პოზიცია, კერძოდ ეკონომიკურ-ორგანიზაციული, ეკონომიკურ-ტექნო-ლოგიური, საფინანსო-საკრედიტო და მარკეტინგული ფაქტორ-პოზიციები, რისთვისაც შემოვიტანეთ და გამოვიყენეთ ისეთი პარამეტრი, **როგორცაა რისკის მიზანშეწონილობისა და მისი ეფექტურობის შეფასების სინთეზური მაჩვენებლები**, რომელიც წარმოადგენს ოპტიმიზებულ, შეწონასწორებულ, ინდექსური ტიპის მახასიათებელს. იგი გასაშუალებულად ავლენს, ჯერ ერთი-რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკურ ზღვარს და მეორეც-მისი უკუგების, ანუ ეფექტიანობის დონეს, რომელიც მყარ საფუძველს გვაძლევს გან-ზოგადებულად ვიმსჯელოთ რისკის საერთო გამართლებულობასა და შედეგზე და საფუძველიანი დასკვნე-ბიც გავაკეთოთ.

ამ მსჯელობის შესაბამისად, მომავლის თემად მიგვაჩნია ამ მახასიათებლების მრავალფაქტორული ანა-ლიზის ჩატარება და საამისო კომპიუტერული პროგრამის შედგენა, რაც წინ წასწევს ეკონომიკურ მეცნი-ერებას.

რისკის შეფასების კომპლექსურობისათვის შემოგვაქვს ასევე ახალი მიდგომა: დადგინდეს **პროპო-რციები** რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკურ ზღვარსა და რისკის უკუგების დონეს შორის. იგი გვიჩვენებს ამ ორ მაჩვენებელს შორის დამოკიდებულების კანონზომიერებას და ასახავს მათი ურთი-ერთქმედების ტენდენციას, დგინდება მათ შორის დამოკიდებულების ოპტიმალური ფარგლები, რაც საკმა-ოდ საინტერესო და მნიშვნელოვანია რისკის რეგულირებისა და მართვის თვალსაზრისით. ეს მიდგომაც პირველად გამოიყენება საქართველოში და იგი მეცნიერული თვალსაზრისით ძალზე საჭირო დასკვნების გამოტანის საშუალებას იძლევა.

ეს პროპორციები დგინდება ამ ორი მაჩვენებლის-უკუგების და მიზანშეწონილობის ზღვრის, ერთმანე-თზე გაყოფით და გამოიხატება კოეფიციენტის სახით.

$$\begin{aligned} \text{მაგ. } L / R &= 1,5 / 0,80 = 1,87 \\ \text{ან } 2,0 / 0,66 &= 3,03 \end{aligned}$$

იგი გვიჩვენებს რისკის უკუგებასა და მის მიზანშეწონილობას შორის არსებულ ფარდობით პროპორციას და ასახავს, რომ, რაც მაღალია პროპორციულობის კოეფიციენტი, მით მეტადაა გამართლებული რისკი ამა თუ იმ პოზიციის მიხედვით. ამ პარამეტრით დადგინდება აგრეთვე ამ პროპორციების მერყეობის ფარგლები.

ეკონომიკური ზღვრისა და უკუგების დონეების ჩამოთვლილი და გაანალიზებული პარამეტრები მართალია მნიშვნელოვანი დასკვნების გაკეთების საშუალებას იძლევა, მაგრამ მაინც არ გვიხატავს რისკის კომპლექსურ და სრულად, სხვადასხვა მიდგომათა ურთიერთშეწონასწორებულად შეფასების შეჯერებულ სურათს.

ამისათვის საჭირო ხდება შემოტანილი იქნას ახალი მახასიათებელი რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვრებისა და უკუგების დონეების სინთეზური მაჩვენებლის სახით, კერძოდ: **SR** – რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვრის სინთეზური მაჩვენებელი და **S L** - რისკის უკუგების დონის სინთეზური მაჩვენებელი, რომლებიც ყველა ძირითადი ფაქტორის, პირობისა და გარემოს ურთიერთკავშირში ერთიანად და განზოგადებულად ახსნის რისკის მიზანშეწონილობასა და უკუგებას.

ეს მაჩვენებელი რისკის მისაღები ეკონომიკური ზღვრებისათვის იანგარიშება ასე: თითოეული ელემენტის ჯამის შეფარდებით ამ ელემენტთა რიცხვზე.

$$\text{მაგალითი: } SR = (R1 + R2 + R3 + R4 + R5 + R6 + R7) / 7 = \\ (0,80+0,60+0,65+0,40+0,55+0,75+0,90) / 7 = 4,65 / 7 = 0,66$$

SL იანგარიშება წინა მაჩვენებლის ანალოგიურად. ამ მაჩვენებლის ანალიზით დგინდება, რომ რაც დაბალია **SR** და რაც მაღალია **SL** მით უფრო გამართლებულია სხვადასხვა ფაქტორ-პოზიციათა ერთობლიობით გაწეული რისკი.

–**მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვრები და უკუგების აბსოლუტური დონეები, აგრეთვე მათი სინთეზირებული მაჩვენებლები იანგარიშება ცალკეული ტიპური მეურნეობისათვის, ზემოთ აღნიშნული შემდეგი არსებითი და შედეგობრივი ნიშნების შესაბამისად, დაჯგუფების მეთოდით:**

1. სპეციალიზაციის კოეფიციენტის ნიშნის მიხედვით;
2. ძირითადი კულტურის ფართობის ნიშნის მიხედვით (მეურნეობის სიდიდის განმსაზღვრელი ნიშანი);
3. პირუტყვის სულალობის ნიშნის მიხედვით (მეურნეობის სიდიდის განმსაზღვრელი ნიშანი);
4. ფონდურ-უნველყოფის დონის ნიშნის მიხედვით;
5. ძირითადი კულტურის მოსავლიანობის ნიშნის მიხედვით;
6. მდგრადობის დონის ნიშნის მიხედვით;
7. ძირითადი სახის პროდუქციის სარეალიზაციო ფასის ნიშნის მიხედვით;
8. მეურნეობის მიერ გაწეული დანახარჯების ნიშნის მიხედვით.

კვლევისათვის გამოყენებული მეთოდოლოგიური მიდგომის ჩარჩოებში აღვნიშნავთ, რომ მართვის მექანიზმი უნდა გავიგოთ და წარმოვიდგინოთ როგორც სისტემა, შემდეგი პოზიციების მიხედვით:

1. როგორი უნდა იყოს სასოფლო-სამეურნეო სავარგულების სტრუქტურა;
2. როგორი უნდა იყოს წარმოების სპეციალიზაციის დონე;
3. როგორი უნდა იყოს თითოეული რისკ-ფაქტორის (რისკ-პოზიციის) დონე;
4. როგორი უნდა იყოს მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვარი თითოეული საწარმოო ტიპისათვის;
5. როგორი უნდა იყოს უკუგების დონე თითოეული საწარმოო ტიპისათვის;
6. როგორი უნდა იყოს მდგრადობის კოეფიციენტი თითოეული საწარმოო ტიპისათვის;
7. როგორი უნდა იყოს გადახდიაუნარიანობის კოეფიციენტი თითოეული საწარმოო ტიპისათვის;

გაანგარიშებული იქნას ყველა ამ მაჩვენებლის მიხედვით სინთეზირებული პარამეტრი და იგი უნდა მივიჩნიოთ რისკის მართვის ერთიან ფორმულა-რეკონომენდაციად.

უნდა განისაზღვროს ალტერნატიული გადაწყვეტილების მიღების ინდიკატორული პოზიციები.

Methodology and Methods of Risk Management and Assessment in Farm Industries

Omar Keshelashvili-Academician of the Georgian Academy of Agricultural Sciences

Key words: farm industry, risk, management, methodology, methods, economic parameters, synthesized indicators

Abstract

The article highlights actuality of risk management and assessment in farm industries. It discusses the system of risk indicators and main criterias; the methodology of defining risk appropriateness in respect with economic limitations and risk reciprocity optimal level. The article presents methodology of defining proportions between synthesized indicators and economic level of risk appropriateness.

საკითხის დასმა

Problem Statement

სოფლისა და სოფლის მეურნეობის აღორძინების პროგრამული რეკომენდაციები

მურმან ქურიძე-ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი,
აიპ“სოფლისა და სოფლის მეურნეობის აღორძინების კავშირის თავჯდომარე“,
მევენახეობისა და მეღვინეობის საერთაშორისო აკადემიის ნამდვილი წევრი

Programme recommendation on rural and agricultural revival

Murman kuridze- Doctor of technical Sciences

ამჟამად, საქართველოში-აგრარულ ქვეყანაში, სოფლის მეურნეობის დარგის სისტემური კრიზისია: საბაზო კვების პროდუქტებით თვითუზრუნველყოფის დონე საგანგაშოდ დაბალია. შიდა ბაზარზე სასურსათო პროდუქციის 80%-მდე იმპორტირებულია, რაც დიდ რისკებთანაა დაკავშირებული და საფრთხეს უქმნის ქვეყნის მომავალს. ეს მაშინ, როდესაც საქართველოს აქვს რეალური შესაძლებლობა და პოტენციალი, საკუთარი პროდუქციით არა მარტო გამოკვებოს ადგილობრივი მოსახლეობა, არამედ მნიშვნელოვნად გაზარდოს ექსპორტიც. ექსპორტ-იმპორტის სალდოს გაუმჯობესება სასიკეთოდ აისახება ქვეყნის ეკონომიკაზე და მოქალაქეების კეთილდღეობაზე. აქედან გამომდინარე, გადაუდებელი და აუცილებელია დარგში სისტემური კრიზისის დაძლევა და ქართული სოფლის აღორძინება. ამის მხარდაჭერის მიზნით დაინტერესებულ მეცნიერთა და პრაქტიკოსთა მიერ დაფუძნდა აიპ „სოფლისა და სოფლის მეურნეობის აღორძინების კავშირი“ (ს/კ400177651, 08.06.2016 წ). „კავშირის“ წევრთა აზრით, სოფლისა და სოფლის მეურნეობის ადგილი და როლი კარდინალურად უნდა შეიცვალოს და კრიზისის დაძლევის კვალობაზე მას უნდა დაეფუძნოს საქართველოს ეროვნული სახელმწიფოს სიძლიერე, ქვეყნის ეკონომიკის განვითარება და სასურსათო უსაფრთხოება.

დასახული მიზნის მისაღწევად, უპირველესად უნდა გატარდეს შემდეგი ღონისძიებები:

- გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიმდინარე ცვლილებების დროს მის სტრუქტურაში უნდა შეიქმნას კვების მრეწველობის მიმართულება, სოფლის მეურნეობისა და მასთან დაკავშირებულ დარგებში მომუშავე კერძო და სახელმწიფო სტრუქტურების საქმიანობის კოორდინაციის, ნედლეულის გადამამუშავებისა და რეალიზაციის გაუმჯობესების მიზნით ამ მიმართულებით უნდა განხორციელდეს ქართული სოფლის აღორძინების კომპლექსური პროგრამისა და თანამედროვე გადამამუშავებელი საწარმოების შექმნის სტიმულირება;
- უნდა დაჩქარდეს მიწის კოდექსის ორგანული კანონის მიღება, რომლითაც უნდა აიკრძალოს უცხოელ მოქალაქეებსა და იურიდიულ პირებზე სასოფლო-სამეურნეო მიწის მიყიდვა, მასში დეტალურად უნდა აისახოს არასასოფლო-სამეურნეო მიწების გაყიდვის პირობები;
- უნდა შეიქმნას აგრარული ქვეყნის უპირველესი ეროვნული სიმდიდრის-მიწისა და წყლის დაცვისა და მისი რაოდენობრივ-ხარისხობრივი აღრიცხვის, კადასტრის მოწესრიგებული სისტემა და მიწის მართვის სახელმწიფო სტრუქტურა;
- უნდა შეიქმნას სახელმწიფო მიწის ფონდი, რომელსაც ექნება სათანადო ფინანსური რესურსი, რათა შეიძინოს მიტოვებული, აითვისოს დაურეგისტრირებელი ყოველგვარი მიწის ფართობი, მოაწესრიგოს იგი, ეკონომიკური მიზანშეწონილობით გაასხვისოს ან იჯარით გასცეს, სპეციალური პროგრამით;
- უნდა აღდგეს სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობა, რომლის ტრადიციაც და

სპეციალისტებიც ჯერ კიდევ შემორჩენილია. მასთან დაკავშირებით, აუცილებელია სოფლის მეურნეობის მექანიზაციის სამეცნიერო ცენტრის შექმნა;

- გადამმუშავებელი საწარმოების სტიმულირების მიზნით ასეთი ტიპის ახლად შექმნილი საწარმოები **ხუთიწლით უნდა გათავისუფლდნენ ყოველგვარი გადასახადისაგან;**
- უნდა გაუქმდეს იურიდიული პირებისათვის წყლის დისკრიმინაციული ტარიფები;
- უნდა შემუშავდეს ელექტროენერგიაზე სეზონური, აგრეთვე სადღეღამისო ტარიფები;
- უნდა განხორციელდეს ქმედითი ღონისძიებები ადგილობრივი მწარმოებლების არაკეთილსინდისიერი კონკურენციისაგან დასაცავად;
- მნიშვნელოვნად უნდა გაიზარდოს და გაფართოვდეს იაფი აგრარული კრედიტი;
- მცირე მწარმოებლებისათვის უნდა გაიზარდოს კრედიტზე ხელმისაწვდომობა, საგირავო ქონების სხვადასხვა პირობებით ჩანაცვლების გზით;
- კიდევ უფრო უნდა განვითარდეს აგროდაზღვევის სისტემა;
- სურსიდირებული იმპორტული პროდუქციისაგან ადგილობრივი მწარმოებლების დასაცავად, რომელიც მთლიანადაა გათავისუფლებული საკომპესაციო მოსაკრებლებისაგან, დაუყოვნებლივ შემოსაღებია ანტიდემპინგური კანონმდებლობა.

საქართველო უმოკლეს ვადაში უნდა ვაქციოთ გენმოდირეცირებული პროდუქციისაგან თავისუფალ ზონად. ხელისუფლებამ უმკაცრესი ზომები უნდა გაატაროს გენმოდირეცირებული (ტრანსგენული) პროდუქციის ქვეყანაში შემოღწევის წინააღმდეგ. რის შედეგადაც საქართველოში წარმოებულ პროდუქციას რეალური ფასი დაედება. ბიოპროდუქტების წარმოებასა და ექსპორტთან ერთად ეს საქართველოს სოფლის მეურნეობას ყველაზე მოთხოვნად დარგად აქცევს და ხელს შეუწყობს ეროვნული პროდუქციის წარმოების ზრდას, ტურიზმის მასშტაბების მნიშვნელოვან გაფართოებას და რაც მთავარია მოსახლეობის ჯანმთელობის დაცვას.

უნდა მივაღწიოთ იმას, რომ მომავალი წლიდან დარგის დაფინანსება დაუყოვნებლივ გაორმაგდეს და ყოველწლიურად, პროგრესულად გაიზარდოს. განისაზღვროს სოფლის მეურნეობის სუფსიდირების მიმართულებები და შემუშავდეს ფინანსური დახმარების გამოყენების მექანიზმი.

სოფლის მეურნეობის დარგში სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალის ამაღლებისა და ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვის მიზნით ეტაპობრივად უნდა აღდგეს დანაშაულებრივად გაუქმებული სასოფლო-სამეურნეო პროფილის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები, მათი ექსპერიმენტული ბაზები, სანაშენე და სანერგე მეურნეობების ფართო ქსელი. ახალი ამოცანების შესაბამისად მაქსიმალურად უნდა იქნეს გამოყენებული საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პოტენციალი. მის წინაშე ანგარიშვალდებულები უნდა გახდნენ აღდგენილი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს აგრარულ სფეროში მომუშავეთა განათლების დონის ამაღლებას, რამდენადაც ამ ეტაპზე ერთ-ერთი მთავარი პრობლემა კვალიფიციური კადრების დეფიციტის დაძლევაა.

საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტს, რომელიც დანაშაულებრივი გზითაა მიტაცებული, უნდა აღუდგეს სახელმწიფო სტატუსი და დაეკისროს სოფლის მეურნეობისათვის კადრების მომზადების კოორდინაცია, ქვეყნის მასშტაბით.

აღნიშნული პირველი რიგის ღონისძიებების პარალელურად უნდა შემუშავდეს საქართველოს სოფლისა და სოფლის მეურნეობის აღორძინების ერთიანი, კომპლექსური პროგრამა, რომელშიც თავს მოიყრის ამ ტიპის, ყველა, დღეისათვის არსებული პროგრამა, რომლის განხორციელების შედეგად მიიღწევა: მიგრაციის შეჩერება, სოფლის დინამიური და სტაბილური განვითარება, სასურსათო თვითუზრუნველყოფა, ქალაქსა და სოფელში ცხოვრების დონის ამაღლება.

მოგუწოდებთ ხელისუფლებას, პოლიტიკურ პარტიებს, არასამთავრობო სექტორის, მასმედიის, სამეცნიერო და აკადემიური წრეების წარმომადგენლებს, ფართო საზოგადოებრიობას, მხარი დაუჭირონ წარმოდგენილ პროგრამულ რეკომენდაციებს, რათა გადაუდებლად დავიწყოთ მათი განხორციელება, შევაჩეროთ სისტემური კრიზისი და უზრუნველვყოთ საქართველოს აღმაცვლა კეთილდღეობისაკენ, რომლის გზაც სოფლის მეურნეობაზე გადის.

ლექსიკონი dictionary

სოფლის მეურნეობის დარგებისა და კულტურების
მცირე ლექსიკონი

small dictionary of agriculture fields and cultures

ომარ ქეშელაშვილი-საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა
აკადემიის აკადემიკოსი

Omar Keshelashvili-Academician of the Georgian Academy
of Agricultural Sciences

I. მარცვლეული და მარცვლეულ-პარკოსანი კულტურები Зерновые и зерно-бобовые культуры Grain cultures and pulse crops		
1. ხორბალი	1.	1. Wheat
2. ქერი	2.	2. Barlay
3. ტრიტიკალე	3.	3.Triticale
4. შვრია	4.	4. Oat
5. სიმინდი	5.	5. Maize
6. ჭვავი	6.	6 . Rye
7. ფეტვი	7. ()	7. Millet
8. მუსუდო	8.	8. Chickpea
9. ოსპი	9.	9. Lentil
10. ლობიო	10	10. Beans
11. ბარდა	11.	11. Pea
12. წიწიბურა	12.	12. Buckwhet
13. ცერცივი	13.	13.Fababean
14. სოიო	14.	14. Soybean

II. კარტოფილი და ბოსტნეულ-ბაღჩეული კულტურები Картофель и овоще-бахчевые культуры Potato and vegetable cultures		
1. კარტოფილი 2. პომიდორი 3. კომბოსტო 4. კიტრი 5. სტაფილო 6. ბოლოკი 7. ხახვი 8. ნიორი 9. წიწაკა 10. ბადრიჯანი 11. საზამთრო 12. გოგრა 13. ნესვი 14. სუფრის ჭარხალი 15. ისპანახი 16. წიწმატი 17. ნიახური 18. ოხრახუმი 19. ქინძი 20. კამა 21. ქონდარი 22. პიტნა 23. ტარხუნა 24. რეჰანი	1. 2. 3. 4. 5. 6. 7. 8. 9. 10. 11. 12. 13. 14. 15. 16. - () 17. 18. 19. () 20. 21. 22. 23. () 24. ()	1. Potato 2. Tomato 3. cabbage 4. cucumber 5. carrot 6. radish 7. Onion 8. Carlic 9. Peper 10. Eggplant 11. Watermelon 12. Pumpkin 13. Melon 14. Garden beet 15. Spinach 16. Garden cress 17. Celery 18. parsley 19. Coriander 20. Dill 21. Savory 22. Mint 23. Tarragon 24. Basil
III. ტექნიკური კულტურები Технические культуры Technical cultures		
1. მზესუმზირა 2. შაქრის ჭარხალი 3. თამბაქო 4. რეჰანი	1. 2. 3. 4.	1. Sunflower 2. Sugar beet 3. Tobacco 4. Basil
IV. ვაზი, ვენახი, ყურძენი Vine, vineyard and grapes		

V. ხეხილოვანი კულტურები Плодовые культуры Orchard cultures		
1. ვაშლი 2. მსხალი 3. ატამი 4. კომში 5. ქლიავი 6. ტყემალი 7. გარგარი 8. ბალი 9. ალუბალი 10. შინდი 11. კაკალი 12. თხილი 13. ნუში 14. წაბლი 15. თუთა 16. ასკილი 17. ფშატი 18. ქაცვი 19. ზღმარტლი 20. კოწახური 21. მარწყვი 22. ჟოლო 23. მაცვალი 24. წყავი	1. 2. 3. 4. 5. 6. 7. 8. 9. 10. 11. 12. (;) 13. 14. 15. 16. 17. 18. 19. 20. 21. 22. 23. 24.	1. Apple 2. Pear 3. Peach 4. Quince 5. Plum 6. Plum 7. Apricot 8. Sweet Cherry 9. Cherry 10. Cornelian Cherry 11. Walnut 12. Haselnut 13. Almond 14. Chestnut 15. Mulberry 16. Dog rose 17. Bumpkin 18. Sea buckthorn 19. Medlar 20. Barberry 21. Strawberry 22. Raspberry 23. Blackberry 24. Cherry laurel
VI. ჩაი და სუბტროპიკული კულტურები Чай и субтропические культуры Tea and subtropical cultures		
1. ჩაი 2. მანდარინი 3. ფორთოხალი 4. ლიმონი 5. გრეიფრუტი 6. კივი 7. ფეიჰოა 8. ხურმა 9. ბროწეული 10. ლეღვი 11. ზეთის ხილი 12. უნაბი 13. მოცვი	1. 2. 3. 4. 5. 6. 7. 8. 9. 10. 11. 12. () 13. ()	1. Tea 2. Tangerine 3. Orange 4. Lemon 5. Grapefruit 6. Actinidia (kiwvi) 7. Feiqa 8. Janaese persimmon 9. Pomegranate 10. Ficus 11. Olive 12. Ziphyphus 13. Blueberry

VII. მეცხოველეობა

Live-stock raising

1. მეცხოველეობა	1.	1. Live-stock raising
2. მესაქონლეობა	2.	2. Cattle breeding
3. მეცხვარეობა	3.	3. Sheep breeding
4. მეფრინველეობა	4.	4. Poultry raising
5. მელორეობა	5. Свиноводство	5. Pig breeding
6. მებოცვრეობა	6. Кролиководство	6. Rabbit breeding
7. მეთევზეობა	7. Рыбоводство	7. Fishing
8. მეფუტკრეობა	8. Пчеловодство	8. Bee breeding
9. მებარეშუმეობა	9. Шелководство	9. Sericulture

ბოტანიკა- Botany	4
როზა ბიძინაშვილი- ეთნობოტანიკური მონაცემები ჰიმალაურ კედარზე	4
Roza Bidzinashvili- Ethnobotanical data on Himalayan cedar	10
როზა ბიძინაშვილი- თბილისის მიდამოების ფლოროცენოტურ კომპლექსებში წარმოდგენილი ერთლენიანი ბალახოვანი გეოფიტები	11
Roza Bidzinashvili- Monocot herbaceous geophytes represented in florocoenotic complexes of Tbilisi environs	17
როზა ბიძინაშვილი- საქართველოს ეროვნულ ბოტანიკურ ბაღში ინტროდუცირებული ერთლენიანი სამკურნალო გეოფიტები	18
Roza Bidzinashvili- Introduced monocotyledonous medicinal geophytes in the National Botanical Garden of Georgia	23
ეთერ გოგიტაშვილი, მურაიძე მარინე, სოფიკო ჩიტაშვილი, ქეთევან თავართქილაძე- ხალცედონის ლიხნისის / <i>Lychnis chalcidonica</i> L./ სასიცოცხლო ციკლი კულტურაში	24
Eter Gogitashvili, Marine Muchaidze, Sopiko Chitashvili, Ketevan Tavartkiladze- Morphobiological peculiarities of <i>Lychnis chalcidonica</i> L. in culture	33
ეთერ გოგიტაშვილი, მარინე მურაიძე- <i>Iberis amara</i> L. და <i>I. procumbens</i> როგორც პერსპექტიული ინტროდუცენტები	34
Eter Gogitashvili, Marine Muchaidze- <i>Iberis amara</i> L. and <i>I. procumbens</i> Lange as perspective introducents	40
ქ.თავართქილაძე. მჭურღულია-შურღაია- გინკო ბილობასთან ასოცირებული სოკოები საქართველოს ეროვნულ ბოტანიკურ ბაღში	41
Tavartkiladze K, Churgulia-Shurgaia M- FUNGI ASSOCIATED WITH GINKGO BILOBA IN NATIONAL BOTANICAL GARDEN OF GEORGIA	43
სელექცია და გენეტიკა-Breeding and Genetics-	44
ენრიკო კუკულაძე, ზურაბ ბუკია -უნაბის - <i>Ziziphus jujuba</i> სელექციის ზოგიერთი საკითხი და სარგებლიანობა მედიცინაში	44
Enriko Kukuladze, Zurab Bukia- <i>Zizyphus</i> selection moment and its usefulness in medicine	47
ზურაბ ბუკია, ენრიკო კუკულაძე- სხვადასხვა დამამტვერიანებლის გავლენა ვასეს ჯგუფის ნაგალა მანდარინების- <i>Citrus Reticulata</i> Bl. თესლის მასაზე	48
Zurab Bukia, Enriko Kukuladze- Pollination influence over <i>Nagala</i> tangerine seed mass	50
ზურაბ ბუკია- იაპონური კოლექციის ზოგიერთი ჯიშის მანდარინის <i>Citrus Reticulata</i> Bl. ჰიბრიდიზაცია თესლისა და ნაყოფის გამოსავლიანობის ზრდისათვის	51
Zurab Bukia- Some breed of Japanese collection of <i>Tangerine -Citrus Reticulate</i> Bl.- hybrid seed and fertility and growing up the fetus	54
ზურაბ ბუკია- ციტრუსების საოთახო კულტურის განვითარება-საიმედო რეზერვი დიეტურ-სამკურნალო ხილის მისაღებად	55
Zurab Bukia- The indoor development of citrus – safe and Reliable reserve for getting diet and uring fruit	57
ოთარ ლიპარტელიანი, ფილარეტ ბეგოიძე, ლიანა ქირიკაშვილი- საქართველოს რეგიონებში სიმინდის ჰიბრიდების გამოცდის შედეგები	58
Otar Liparteliani, Filaret Begoidze, Liana Kirikashvili- The trial results of corn hybrids in Georgian regions	60
ცოტნე სამადაშვილი, გულნარი ჩხუტიაშვილი, მირიან ჩოხელი- ელიტური თესლის დაჩქარებული წესით მიღების მეთოდიკა	61
Tsotne Samadashvili, Gulnari Chkhutiashvili, Mirian Chokheli- Technique of the accelerated receiving of the elite seeds	68
ნ. აღასანია, ნ.ლომთათიძე , დ.ჯაში- აუქსინების გავლენა ლურჯი მოცვის მიკროკლონალურ გამრავლებაზე in vitro კულტურაში	69

მეხსენარეობა- plant-industry	130
.....	130
Nodar Merabishvili, Mariam Merabishvili-Trauma and sowing quality of Autumn wheat seeds ...	131
.....	132
Nodar Merabishvili, Mariam Merabishvili- Correlation connections of elements of potato yield in adjacent generations	134.
.....	135
Nodar Merabishvili, Mariam Merabishvili- Study of potato losses during storage	136
მეხსენარეობა და საკვებნარეობა- Livestock and feed production	137
ი. სარჯველაძე- ბალახნარეობის შედგენის დამაზუსტებელი ფაქტორები	137
Josef Sarjveladze Defining factors for the creation of different types of grasses	139
ლ.უჯმაჯურიძე, რ.მიტიჩაშვილი, შ.ფოცხვერია, ც.ქილიფთარი-გადაშენების ზღვარზე მყოფი კახური ღორის აღდგენა	140
L. Ujmajuridze, R. Mitichashvili, Sh .Potskhveria, Ts. Kiliptari- The restoration works of the Kakhetian swine on the edge of extinction	143
ჯ. გუგუშვილი, მ. ბარენაშვილი, რ. ლოლიშვილი-ჯიშთაშორისი შეჯვარების თეორია და პრაქტიკა მეცხოველეობაში	144
Gugushvili J. Barvenashvili M, Lolishvili R- The theory of and practice in inter-breeding crossing in live-stock raising	147
კვების მრეწველობა- Food Industry	148
გულნარა ხეცურიანი, ირმა ბერულავა- შაქროვანი ნამცხვრის კვებითი ღირებულების ამაღლება არატრადიციული მცენარეული ნედლეულის გამოყენებით	148
Gulnara Khetsuriani, Irma Berulava - Improving the Nutritional Value of Sugar Biscuit by Using Non-Traditional Plant Raw Materials	151
მარიამ ხოსიტაშვილი, თეა ხოსიტაშვილი, გაგა ბუიშვილი, სანდრო ჩალათაშვილი, მარიკა მიქიაშვილი-საქართველოში ინტროდუცირებულ წითელ ყურძენში ფენოლური ნაერთების ინდექსის დადგენა	152
M. Khositashvili , T. Khositashvili, G. Buishvili , S. Chalataashvili, M.Mikiashvili- Study of Foreign Red Grapes Phenol Index Introduced in Georgia	155
ზაზა ბააზოვი, მარიამი ხოსიტაშვილი, მარიკა მიქიაშვილი -მეფუტკრეობის პროდუქტების გადამუშავება და გამოყენება სასმელების წარმოებაში	156
Z. Baazov, M. Khositashvili, M. Mikiashvili -The use and conversion of hive products in beverage industry	160
თ. რევიშვილი, ბ. დოლიძე, რ. მახარაძე, ზ. ანდლულაძე- თხილის ნაყოფის შრობის პარამეტრების გამოკვლევა	161
T. Revishvili, B. Dolidze, R. Makharadze, Z. Andruladze- Research Parametres of Nut Fruit Drying ..	164
დ. აფხაზავა, ვ. გოლიაძე, ც. ქაშაკაშვილი, თ.რევიშვილი- მსხვილნაყოფა ციტრუსოვანთა ნაყოფის ქიმიურ - ტექნოლოგიური გამოკვლევა	165
D. Apkhazava, V. Goliadze, C. Kashakashvili, T. Revishvili- Chemical and technological research of large-fruited citrus fruits	170
ლერი გვასალია, თინათინ ეპიტაშვილი, თამარ კაჭარავა-ტრიტიკალეს (×Triticosecale-Wittmack) და მახობლის (Cephalaria syriaca) ქიმიური მახასიათებლები	171
Leri Gvasalia, Tinatin Epitashvili, Tamar Kacharava- Chemical Characteristics of Triticale (×Triticosecale Wittmack) and Cephalaria (Cephalaria syriaca)	175
აგრარული ეკონომიკა- Agrarian Economy	176
ომარ ქეშელაშვილი- ფერმერულ მეურნეობებში რისკის მართვისა და შეფასების მეთოდოლოგია და მეთოდოლოგია	176
Omar Keshelashvili- Methodology and Methods of Risk Management and Assessment in Farm Industries	182

საკითხის დასა-Problem Statemment	183
მურმან ქურიძე- სოფლისა და სოფლის მეურნეობის აღორძინების პროგრამული რეკომენდაციები ..	183
Murman kuridze- Programme recomendation on rural and agricultural revival	183
ლექსიკონი- dictionary	185
ომარ ქეშელაშვილი- სოფლის მეურნეობის დარგებისა და კულტურების მცირე ლექსიკონი	185
Omar Keshelashvili- small dictionary of agriculture fields and cultures	185
შინაარსი-CONTENTS	189

მოთხოვნები დასახელებად წარმოსადგენი სტატიების მიმართ (საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად)

1. სტატიის მოცულობა განისაზღვრება 10 გვ-მდე. წარმოდგენილი უნდა იყოს ერთ ეგზემპლარად (LitNusx ან AcadNusx-11; 1.0 ინტერვალზე; ზომები: Top 1.3; Bottom 1.3; Left 2.5; Right 1.3) და CD-ზე.
2. სტატიას წინ უნდა უძღოდეს სათაური, შემდეგ მოსდევდეს ავტორ(ებ)ის დასახელება, ხარისხისა და წოდების მითითებით; ცალკე სტრიქონად უნდა იყოს წარმოდგენილი საძიებო (საკვანძო) სიტყვები;
3. სტატიას უნდა გააჩნდეს მეცნიერული ღირებულება;
4. სტატია უნდა იყოს კითხვადი (სტილისტურად დახვეწილი, მეცნიერულად და ენობრივად რედაქტირებული);
5. სტატიას უნდა ახლდეს მკაფიო რეზიუმე (1000 ნიშანი ან 100-250 სიტყვა) ქართულად (ორიგინალის ენაზე) და ინგლისურად. ინგლისურენოვანი რეზიუმე ერთადერთი წყაროა, რომლის მიხედვითაც უცხოელი სპეციალისტი აფასებს ქართველი მეცნიერის პუბლიკაციას, იყენებს თავის პუბლიკაციაში, დი-სკუსიაში შედის ავტორთან და ა.შ.

6. მონაცემები, რომლებიც არ ითარგმნება (ავტორის გვარი, გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალი და სხვა) წარმოდგენილი უნდა იყოს რომაული ალფაბეტით. ამისათვის გამოიყენება ტრანსლიტერაციის ერთ-ერთი საერთაშორისო სისტემა (მაგალითად (Unofficial system). არარომაული ალფაბეტით შეიძლება წარმოდგენილი იყოს მხოლოდ სტატიის ტექსტები და ნახატები საიტზე;

7. მოთხოვნები რეზიუმეს მიმართ;

- რეზიუმე (Abstract) უნდა გადმოსცემდეს სამუშაოს (სამეცნიერო ნაშრომის) არსს და გასაგები უნდა იყოს მკითხველისათვის თვით პუბლიკაციის წაკითხვის გარეშე. იგი არ უნდა შეიცავდეს ისეთ მასალას რაც არ არის პუბლიკაციის ძირითად ტექსტში;
- რეზიუმეში მოკლედ და ზუსტად უნდა აისახოს სტატიის შინაარსი, მასში გადმოცემული უნდა იყოს სამუშაოს ძირითადი ფაქტები და შედეგები;
- რეზიუმეს ტექსტი უნდა იყოს ლაკონური და მკაფიო, თავისუფალი ზედმეტი სიტყვებისაგან, გამორჩეოდეს ფორმულირების დამაჯერებლობით;

რეზიუმე უნდა შეიცავდეს სტატიის შინაარსის შემდეგ ასპექტებს:

- სამუშაოს საგანი, თემა, მიზანი;
- სამუშაოს ჩატარების მეთოდი ან მეთოდოლოგია;
- სამუშაოს შედეგები;
- შედეგების გამოყენების სფერო;
- დასკვნები;

სამუშაოს საგანი, თემა და მიზანი გადმოიცემა იმ შემთხვევაში, როცა ის არ ჩანს სტატიის სათაურში.

სამუშაოს ჩატარების მეთოდი ან მეთოდოლოგია აღწერილ უნდა იქნას იმ შემთხვევაში, თუ იგი გამოირჩევა სიახლით ან საინტერესოა ამ სამუშაოს გამოყენების თვალსაზრისით.

უნდა შევეცადოთ არ გამოვიყენოთ ჩართული სიტყვები (მაგ. სტატიის ავტორი განიხილავს...)

(სამაგალითო ფრაზები: განსაზღვრულია, გაანალიზებულია, ვლინდება, შესწავლით მიიღება შემდეგი შედეგები, გაპირობებულია, გამოწვეულია, რაც განაპირობებს და ა.შ.).

8. რეზიუმე ინგლისურ ენაზე უნდა იყოს:

- ინფორმაციული (არ შეიცავდეს ზოგად ფრაზებს);
- ორიგინალური (არ იყოს ქართული რეზიუმეს ზუსტი კალკი);
- შინაარსიანი (ასახავდეს სტატიის ძირითად შინაარსს და კვლევის შედეგებს);
- სტრუქტურული (მისდევდეს სტატიის ლოგიკას);
- „ინგლისურენოვანი“ (დაწერილი ხარისხიანი ინგლისური ენით და ინგლისურენოვანი სპეციალური ტერმინებით);
- კომპაქტური (შეიცავდეს 100-250 სიტყვამდე).

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია
Georgian Academy of Agricultural Sciences

მ მ ა მ ბ ე
(სამეცნიერო შრომათა კრებული)
BULLETIN
(Scientific Papers)
№1(39)

**გამომცემელი: საქართველოს სოფლის
მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია**
**Publisher: Georgian Academy of
Agricultural Sciences**

ტექნიკური რედაქცია:

გ.მოსაშვილი-ტექნიკის აკადემიური დოქტორი, ტექნიკური რედაქტორი, ვებ-გვერდის რედაქტორი,
ი.ბახტაძე-ინგლისური ვერსიის რედაქტორი.

სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი: 21,8
პირობითი ნაბეჭდი თაბახი: 24,2

თბილისი-TBILISI-2018

